პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 192 (13277) | კვირა, 15 აგვისტო, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

შვიდწლედის ვახტზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეილა დარასელიამ (სურათზე მარცხნივ) თავისი შვებულების დღეები ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გაატარა. იგი ზუგდიდის ბამბის საქსოვი ფაბრიკის მუშა-მქსოველია. ლეილამ თავის ამხანაგებთან ერთად მეურნეობაში უკვე მოკრიფა 2.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. მარჯვნივ სურათზე კი ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე მადონა ლუხელაძეა. იგი ჩაის კრეფაში ეხმარება მშობლიური სოფლის კოლმეურნეობას. ყოველდღიურად 50-60 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. მადონას მტკიცე გადაწყვეტილებაა წელს 4.000 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ მოკრიფოს.

ფოტო ბ. შანავასი და კ. ყუფუნიასი.

პირველადი ორგანიზაცია და პარტიული კომიტეტი

3. მჟავანაძე,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის
პირველი მდივანი

პარტიულ მუშაობას მთელი მისი შემოქმედებითა და მრავალფეროვნებით სმირად ცოცხალი, რთული ორგანიზმის მოქმედებას ადარებენ. ანალოგიას თუ განვაგრძობთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ამ ორგანიზმის აქტივობა და ძლიერება დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა იმაზე, თუ რამდენად ცხოველმოქმედი და მებრძოლურია მისი უჯრედები — პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რამდენად გამართულად, მიზანსწრაფულად, გააზრებულად მოქმედებენ ისინი. ეს გასაგებიც არის. პირველადი ორგანიზაციები პარტიის საფუძველია, მათი მეშვეობით ხალხის ავანგარდს ყოველდღიური კავშირი აქვს მშრომელებთან, რაზმავს მათ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) და შემდგომ პლენუმებზე გადაჭრით დაგმობილ რომ იქნა პარტიული ცხოვრების თვით ბუნებისათვის უცხო მეთოდები ადმინისტრირებისა და სუბიექტივიზმისა, მასების გამოცდილების უგულებელყოფისა, ამან უაღრესად კეთილმყოფელი ზეგავლენა მოახდინა და ახდენს პირველადი ორგანიზაციების საქმიანობაზე, შექმნა ფართო შესაძლებლობანი მათი შემდგომი აქტივიზაციისათვის, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მათი როლის გაძლიერებისათვის.

ახლანდელ პირობებში პირველადი ორგანიზაციების მუშაობის დონე, ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება პარტიული კომიტეტების მხრივ ხელმძღვანელობის ფორმებითა და მეთოდებით, მათი მუშაობის სტილით. სწორედ ამის თაობაზე ზოგიერთი აზრი მინდა გამოვთქვა ამ სტატიაში.

ამჟამად საქართველოს კომპარტიაშია 9.540 პირველადი და 1.559 საამქრო პარტიული ორგანიზაცია, 5.149 პარტიული ჯგუფი ეს ძირეული რგოლები მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ, რომელსაც შეუძლია ყოველი ამოცანა გადაჭრას. ოღონდ საჭიროა, რომ პარტიული კომიტეტები მთელ თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობოდნენ მას, უფრო ახლო იყონ პირველადს ორგანიზაციებთან, ზრუნავდნენ ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის სრულყოფისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელ რიგ ღონისძიებებს იღებს ამ მიმართულებით. პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს მიეძღვნა მისი ორი პლენუმი. ერთ-ერთ მათგანზე დაწვრილებით განხილულ იქნა ის საკითხი, თუ როგორ სრულდება სკკპ წესდების მოთხოვნები პარტიის წევრთა უფლება-მოვალეობის შესახებ. მეორეზე, სულ ცოტა ხნის წინათ — საკითხი პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროების სხდომათა დღის წესრიგში უკანასკნელ ხანს სულ უფრო ხშირად შეჰვდებით საკითხებს, რომლებიც პირველადი ორგანიზაციების საქმიანობისა და მათდამი ხელმძღვანელობის მეთოდებს ეხება. პირველადი ორგანიზაციების ცხოვრებისა და საქმიანობისადმი მეტ ყურადღებას იჩენენ პარტიული კომიტეტები თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაშიც.

ყოველივე ეს, ცხადია, ხელს უწყობს პარტიული ორგანიზაციების შემდგომ აქტივიზაციას, სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი როლის გაძლიერებას.

ამჟამად საქართველოში პარტიის წევრთა 63 პროცენტზე მეტი უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროშია დასაქმებული. მეტი წილი კომუნისტები ყოველივე ახლის, პროგრესულის წამამწყებნი არიან, საქმით ახორციელებენ ავანგარდულ როლს, მაგალითს წარმოადგენენ უპარტიოებისათვის. ისინი გამოდიან შემოქმედებითი შეჯიბრების, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის ორგანიზატორებად.

შესანიშნავი შრომითი საქმეებით ისახელა თავი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის მრავალათასიანმა კოლექტივმა. და ამაში მცირე დამსახურება როდი მიუძღვით ქარხნის კომუნისტებს, რომელთა 83 პროცენტი უშუალოდ საამქროებში მუშაობს. კომუნისტური შრომის ბრიგადამ გურამ ჩადუნელის მეთაურობით დაიწყო მოძრაობა წარმოების მაღალი კულტურისათვის, ქარხნის კომუნისტები მ. დეგასურაშვილი, ვ. პაპანაშვილი, ი. გუსლიაევი პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის შეჯიბრების ინიციატორები არიან. ამ ბრიგადისა და კომუნისტების საქმეებს მხურვალედ დაუჭირეს მხარი ბევრი საწარმოს კოლექტივებში. პირნათლად შესასრულეს სიტყვა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტებმა, რომლებმაც გააჩაღეს შეჯიბრება იმისათვის, რომ მვიდწლედის დამლევისათვის მიაღწიონ საწარმოს რენტაბელობას. ქარხანამ უკვე ახლა უარი თქვა დოტაციაზე, მოგებით მუშაობს.

არსებითი თვისებრივი და რაოდენობრივი ძვრები ხდება ამჟამად რესპუბლიკის სასოფლო პარტიულ ორგანიზაციებიც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, დამზადებათა სტაბილური გეგმების დაწესებამ, სოფლის მშრომელთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებამ ფრიად ხელსაყრელი პირობები შექმნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი ორგანიზაციების მუშაობისათვის. საქმის წარმატების სრული რწმენით ალფრედენ ისინი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. მათი თვითდირებულების შემცირებისათვის მეურნეობებში შემუშავებულ ღონისძიებათა პრაქტიკულ განხორციელებას.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელების წინაშე დადგნენ დიდნაწილოვანი და საპატიო ამოცანა — სულ უფრო ბარალი რაოდენობით მისცენ საბჭოთა ადამიანებს ქართული მიწის უხვი ნაყოფი, ამასთან მიაღწიონ ამას შრომისა და სახსრების უმცირესი დანახარჯით. გამოდიან რა აქედან, პარტიულმა ორგანიზაციებმა გააჩაღეს მუშაობა იმისათვის, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრები შეაიარაღონ ეკონომიური და აგროტექნიკური ცოდნით, მეურნეობის რაციონალური გაძღოლის ხერხებით. ორგანიზებულად მიმდინარეობს მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება, სრულდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები. ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ, მიუხედავად მიმდინარე წლის ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, რესპუბლიკის მეჩაიეები და მევენახეები წარმატებით გაართმევენ თავს სახელმწიფო დავალებებს.

ეს ფაქტები რომ მომყავს, სრულებითაც არ მინდა ისე წარმოვადგინო საქმე, თითქოს ჩვენი პარტიული კომიტეტებისა და პირველადი ორგანიზაციების საქმიანობაში ყველაფერი იდეალურად იყოს, არ გვქონდეს სუსტი მხარეები, ნაკლოვანებანი და ჩავარდნები. დიახ, ჯერ კიდევ არიან რესპუბლიკაში კომუნისტები, და მთელი კოლექტივებიც კი, რომლებიც ბოლოში მიჩანჩალებენ, თავიანთ მაღალ მოწოდებას ვერ ამართლებენ. თუ პარტიული მუშაობის სისუსტით, კომუნისტთა არასაკმაო აქტივობით არა, რით შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ შარშან რესპუბლიკის 77 საწარმომ სახელმწიფო გეგმა ვერ შეასრულა? წელსაც ჯერჯერობით ჩამორჩებიან ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიც არის ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა და სხვები.

ბევრი გვაქვს გასაკეთებელი შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში, მფლანგველობასთან, უყაირათობასთან, პროდუქციის დაბალ ხარისხთან ბრძოლაში, საწარმოო და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცებისათვის. საქართველოში დიდმნიშვნელოვან პრობლემად რჩება კოლმეურნეობათა ეკონომიური განმტკიცება. აღარ შეიძლება შევუვიდეთ იმას, რომ რესპუბლიკაში დღემდე არის 100-ზე მეტი ეკონომიურად სუსტი მეურნეობა.

ქალაქშიც და სოფლადაც ბევრი რამ არის დამოკიდებული პირველადს ორგანიზაციებზე. მაგრამ იმისათვის, რომ ისინი კარგად ართმევდნენ თავს ამოცანებს, საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ მათი ბრძოლისუნარიანობა, რომლის საფუძველია პარტიის ყველა წევრის მაღალი აქტივობა.

როგორც უკვე ითქვა, პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის დონე პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხელმძღვანელობენ, როგორ ეხმარებიან მათ პარტიული კომიტეტები. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს დახმარება ყოველდღიური, საქმიანი, საგნობრივი იყოს, არ ბოჭავდეს ინიციატივას.

საინტერესო გამოცდილება შეიძინა პარტიის თეთრი წყაროს რაიკომმა. პარტიული მუშაობის სიმძიმის ცენტრი აქ გადატანილია ძირეულ რგოლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ადამიანებთან ცოცხალი ურთიერთობა — აი რა აძლევს რაიკომს შესაძლებლობას სწორად წყვეტდეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა საკითხს. მაგალითად, დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებს მატერიალური დაინტერესების პრინციპს, როგორც სასოფლო წარმოების აღმავლობის მძლავრ ბერკეტს. რაიკომმა, პირველადს პარტორგანიზაციებზე, სპეციალისტებზე დაყრდნობით, მიაღწია იმას, რომ რაიონის 30-ვე კოლმეურნეობა გადაყვანილია შრომის გარანტირებულ ფულად ანაზღაურებაზე. ყოველივე ამან შეაძლებელი გახადა რაიონის მეურნეობათა ეკონომიკის შესამჩნევად ამაღლება.

მაგრამ თვალს ვერ ავარიდებთ იმას, რომ ჩვენში არიან ისეთი პარტიული კომიტეტებიც, რომლებიც ჯერ კიდევ იმყოფებიან ხელმძღვანელობის ძველი, დახავსებული მეთოდების ტყვეობაში. ამას წინათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა ის საკითხი, თუ როგორ ხელმძღვანელობს პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის პარტიულ ორგანიზაციებს. აღმოჩნდა, რომ საოლქო კომიტეტს მხედველობის არედან ფაქტიურად გამორჩენია ისეთი საკითხები, როგორიც არის ბრძოლა ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, წარმოების კულტურის ამაღლებისათვის. ნაკლები იყო ზრუნვა ამ ამოცანების გადაჭრაში პირველადი პარტორგანიზაციების როლის ამაღლებისათვის, ჯერჯერობა ან იყო ორგანიზებული გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება.

უნაყოფო გამოკვლევებითა და დეკლარაციული გადაწყვეტილებებით ხშირად ცვლის ორგანიზატორულ მუშაობას პარტიის თიანეთის რაიკომიც. მისი მუშაობის სტილს მჭევრმეტყველურად მოწმობს ასეთი ფაქტი. მიმდინარე წლის იანვარში ბიუროს სხდომაზე განხილულ იქნა სოფლების ზარიძეებისა და გორანას კოლმეურნეობათა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებანი. ვრცელი გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ არ იზრუნეს მისი შესრულებისათვის, უფრო მეტიც, „დაავიწყდათ“ ეცნობებინათ ეს გადაწყვეტილება კომუნისტებისათვის.

სასხდომო ფუსფუსი, რომელიც უსარგებლოდ სწყვეტს საქმეს ასობით ადამიანს, გადაწყვეტილების, ცნობების, მოხსენებითი ბარათების რაოდენობით ვატაცება ნაცვლად ცოცხალი საქმის ორგანიზაციისა — ყოველივე ეს არ შეიძლება უარყოფით გავლენას არ ახდენდეს პირველადი ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობაზე, ინიციატივაზე, აქტივობაზე. მაგალითად, უკანასკნელ წელიწადნახევარში პარტიის გორის ქალაქკომმა ოცდასამჯერ განიხილა ნაკლოვანებანი დამეულის კომბინატისა და მისი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში. გარეგნულად თითქოს უდიდესი მუშაობა იყო გაწეული, საწარმოში საქმის ვითარება კი ოდნავაც არ გაუმჯობესებულა. მთელი საქმე ის არის, რომ კომბინატის პარტორგანიზაციას გადაწყვეტილებები კი არ ესაჭიროება, არამედ პრაქტიკული, კონკრეტული, საქმიანი დახმარება ადგილზე, ხოლო კომბინატს — რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ქმედითი დახმარება.

რამდენია ისეთი შემთხვევა, როცა პარტიულ კომიტეტს, „აეურული“ სტატისტიკით გატაცებულს, ბიუროს სხდომებზე და პლენუმებზე გამოაქვს ისეთი საკითხები, რომლების გადაწყვეტა საქმისათვის უფრო სასარგებლოდ შეუძლიათ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, პირველადს ორგანიზაციებს.

ყველა ეს ფაქტი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მხრივ უაღრესად სერიოზული ყურადღების საგანი გახდა. ჩვენ ვცდილობთ მივაღწიოთ იმას, რომ საგებით აღმოვფხვრათ ფორმალიზმისა და სუბიექტივიზმის რეციდივები პარტიული კომიტეტების მუშაობის პრაქტიკაში.

ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ ხელმძღვანელობს პირველადს ორგანიზაციას. მდივანი, მისი მოადგილე, პარტიული ბიუროს წევრები — სწორედ ეს ბირთვი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს პარტიული მუშაობის დონეს. მზრუნველობით ზრდიდნენ, ასწავლიდნენ ამ კადრებს, ამაღლებდნენ მათს თეორიულ დონეს, აფართოებდნენ მათს ჰორიზონტს, საერთო კულტურას და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ მათს შერჩევასა და განაწილებას, — ეს პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობის თვისებრივი შემადგენლობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. აი დამახასიათებელი ციფრები. პირველადი პარტორგანიზაციების 9.540 მდივნიდან 4.254-ს აქვს უმაღლესი განათლება, 855-ს — დაუმთავრებელი უმაღლესი, დანარჩენთ — საშუალო განათლება. ბევრი მათგანი მეცადინეობს მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებში, უმაღლესი პარტიული სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ განყოფილებებზე. მარტო წელს პირველადი ორგანიზაციების 300 მდივანმა დაამთავრა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. პარტიის ყველა რაიკომში შექმნილია და მუშაობენ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების სკოლები.

მაგრამ სწავლების ყველაზე ქმედითი ფორმაა პრაქტიკული დახმარების გაწევა ადგილებზე პარტიული კომიტეტების მდივნები, რაიკომების მუშაკები უშუალოდ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ასწავლიან პარტიულ წინამძღოლებს კრებების მომზადებას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების მოწყობას, ადამიანებთან მუშაობის ხერხებსა და ჩვევებს. ამ საქმეში სასარგებლო ინიციატივას იჩენენ პარტიის სოხუმის, ბათუმისა და ჭიათურის საქალაქო კომიტეტები, ქალაქ თბილისის ლენინის რაიკომი, პარტიის მახარაძის, წყალტუბოსა და სხვა რაიონული კომიტეტები. მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა პარტიული კომიტეტების მუშაობა მდივნების მოადგილეთა, საამქრო პარტორგანიზაციების ხელმძღვანელთა და პარტჯგუფორგანიზატორთა სწავლების ორგანიზაციისათვის, რომელნიც ჩვენი პარტიული კადრების დიდმნიშვნელოვან რეზერვს შეადგენენ.

პარტიულ კადრებთან მუშაობაში დღემდე სუსტ ადგილს წარმოადგენს ის, რომ ადგილებზე მეტისმეტად გატაცებული არიან მდივნების შემადგენლობის განახლებით. ასე ხდება ხოლმე: ვერ მოუსწრია ადამიანს ემუშავნა, თავი გამოეჩინა, თავისი ორგანიზატორული ნიჭი ეჩვენებინა, პარტიული მუშაობისათვის გემო აეღო, რომ იქვე, ოდნავი ხარვეზისა თუ შეცდომისათვის მას გადაყენებენ, აღარ იჩჩენენ. მაგრამ გამოცდილების შეძენა ხომ წლობით ხდება, და არ შეიძლება ანგარიშს არ ვუწევდეთ ამას.

კადრების სწავლების ნაცადი მეთოდია, კომუნისტთა აღზრდის სკოლაა პარტიული კრებები. შინაპარტიული მუშაობის ამ დიდმნიშვნელოვან უბანს კი ჩვენში ხშირად ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. ხშირად კრებებს ცუდად ამზადებენ, ჯეროვნად არ მოიფიქრებენ ხოლმე დღის წესრიგს, სჯერდებიან ზემოდან რეკომენდებული საკითხების განხილვას. და განა უნდა გვიკვირდეს, რომ ასეთ პირობებში საკითხების განხილვა ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვერ რაზმავს ადამიანებს. კრებების აღმზრდელობითს როლს ზოგჯერ ისიც ამცირებს, რომ ცალკეულმა პარტიულმა მუშაკებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს ყურად იღონ კომუნისტების ხმა, შეისწავლონ და გაითვალისწინონ კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და სურვილები.

ჩვენი პარტია ძლიერია თავისი პირველადი ორგანიზაციების, კომუნისტთა ფართო მასების აქტივობით, თვით ხალხში რომ მუშაობენ და ცხოვრობენ. და რაც უფრო მძლავრად იჩუხჩუხებს ცოცხალი, შემოქმედებითი გამოცდილების, გაბედული ძიების წყაროები, მით უფრო ძლიერი იქნება პარტიული ზემოქმედება მშრომელთა ფართო მასებზე, მით უფრო წარმატებით გადაწყდება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანები.

(„პრავდა“, 14-VIII).

გაღამწყვეტ დღეებში

კოგულეთი. („კომუნისტის“ კორ.). აგვისტოს ამ გადამწყვეტ დღეებში ადრე დილიდან გვიან საღამომდე თავდადებით შრომობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჩაის პლანტაციებში. მეჩაიეებმა უკვე მოკრიფეს 17.300 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სულ წლიური გეგმით მოსაკრეფი აქვთ 22.187 ტონა.

ქობულეთელებმა გეგმით აგვისტოში უნდა მოკრიფონ 4.881 ტონა ჩაის ნედლეული, მოკრეფილი აქვთ ათას ტონამდე. ახლა ყოველდღიურად ძლიერდება კრეფის ტემპი. ქობულეთელთა გადაწყვეტილებაა წელს სამშობლოს ვადაზე ადრე უპატაკონ არა მარტო გეგმის, არამედ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაც.

ჩაის ფოთლის კრეფის რაიონული გეგმის შესრულებაში დიდი წვლილი შეაქვთ **ჩაქვის, ოჩხამურის** ჩაის საბჭოთა მეურნეობებს. ამ მეურნეობებში ყოველდღიურად ჩაის საკრეფად გამოდის 600-800 მკრეფელი. განუწყვეტლივ, ყოველგვარ ამინდში კრეფენ ჩაის ფოთოლს **ბობოყვათის, ჭვავლიანოვკის, ხუცუბნის, ჭაკუთის, ლეღვის, წყავროკას, აჭყვის, დაგვის** და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

თქვენთვის, მომხმარებელნო!

საქართველოს სსრ საბალხო მეურნეობის საბჭოს ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველომ შვიდწლეულის დამამთავრებელ წელს შვიდი თვის საწარმოო დავალება საკონფეტო გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 2.917 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

მომხმარებელმა დამატებით მიიღო 764 ტონა ხორცი, 4.351 ტონა რძე, 648 ტონა ყველი, 79 ტონა კარაქი.

შვიდწლეულის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ლ. დავალეანი (დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს: თბილისის რძის კომბინატის (დირექტორი ა. ქადაგიძე), ბოლოკმის ხორცკომბინატის (დირექტორი გ. ცოფაია); გორის ხორცკომბინატის (დირექტორი ზ. ხუროშვილი), სიღნაღის ყველკარაქის ქარხნის (დირექტორი მ. ნადირაძე). თელავის რძის ქარხნის (დირექტორი თ. მეტრეველი). ცხინვალის ხორცკომბინატის (დირექტორი ნ. კუსრაევი) კოლექტივებმა.

ზეგეგმითი ცემენტი, კლინკერი, ბლოკები

ყოველ დღეს ახალი შრომითი გამარჯვებით აღნიშნავს კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივი. **კასპელმა** მეცემენტეებმა, რომლებმაც კარგი მაჩვენებლებით გაანაღდეს შვიდი თვის დავალება, მარტო აგვისტოს პირველ ათ დღეში გეგმის გადამეტებით **გამოუშვეს 1.561** ტონა კლინკერი, **850 ტონა ცემენტი და 274** კუბმეტრი საკედლე ბლოკები.

კასპელი მეცემენტეები ახლა იმისათვის იბრძვიან, **რომ ვადაზე ადრე, 25 დეკემბრისათვის გაანაღდონ წლიური საწარმოო დავალება.**

ი. სოზიაშვილი.

ვითარდება და მტკიცდება ძმური მეგობრობა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ი. მიკოიანმა და ა. ნ. კოსიგინმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ამხანაგებს კიმ ირ სენსა და ცოი ენ გენს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გულითადად ულოცავენ და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ იაპონიის იმპერიალიზმის კოლონიური უღლისაგან კორეის განთავისუფლების მე-20 წლისთავის გამო.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი გულწრფელი სიხარულის გრძნობით ხვდებიან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასისა და კოოპერირებული გლეხობის ყოველ წარმატებას, ყოველ გამარჯვებას. საბჭოთა ხალხი დიდად თანაუგრძნობს და მხარს უჭერს კორეელი ხალხის კანონიერ მისწრაფებას, იცხოვროს ერთ ოჯახად, მიაღწიოს ამერიკის ჯარების გაყვანას სამხრეთ კორეიდან და გაერთიანდეს კორეა დემოკრატიულ საფუძველზე გარედან ჩაურევლად.

დეპეშაში დიდი კმაყოფილებით აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური მეგობრობა, რომელსაც საფუძველად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები და განმტკიცებულია იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში ორივე ქვეყნის ხალხების მიერ დაღვრილი სისხლით, დღითი დღე ვითარდება და მტკიცდება.

მისალოცი დეპეშა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ალფონს მასამბა-დებასა და რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს პასკალ ლიხუმეს გაუგზავნეს დეპეშა ეროვნული რევოლუციის მეორე წლისთავის გამო. ისინი საბჭოთა კავშირის ხალხების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად თავიანთი სახელით გულწრფელად ულოცავენ და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ რესპუბლიკის ხელმძღვანელებს და მათი სახით მეგობარ კონგოელ ხალხს და მის მთავრობას.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ სსრ კავშირსა და კონგოს შორის დამყარებული გულწრფელი მეგობრული ურთიერთობა და ნაყოფიერი ყოველმხრივი თანამშრომლობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის. (საკდესი).

პ. ნ. კოსიგინმა მიიღო ს. ტოდოროვი

14 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ბულგარეთის ეკონომიური დელეგაციის ხელმძღვანელი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ტოდოროვი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ა. პაშევი.

გაიმართა აზრთა გაზიარება ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოების საკითხებზე. (საკდესი).

სტუმრად მოსკოვში

მოსკოვი, 14 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით დღეს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხოანგ ვან ხოანი.

შერემეტიევოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, დელეგაციას შეხვდნენ ა. პ. კირილენკო, ი. ვ. ანდროპოვი და სხვები.

ოჯრაქეთის პრემიერ-მინისტრი კიევიდან მაქმაგზავრა

კიევი, 14 აგვისტო. (საკდესი). უკრაინის დედაქალაქში დღეს გააცილეს ოურეეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი სუფან ჰარი ურგეიფლი და მისი თანმხლები პირნი, რომლებიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებიან საბჭოთა კავშირში.

ვერცხლისფერი ლაინერი „ილ-18“, რომელშიც თურქი სტუმრები არიან, ტოვებს უკრაინის დედაქალაქს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მვირმეობის, ნადირთმოშენებისა და საკონდიციონერო რეწვის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა 499 საუკეთესო მეირმე, ნადირთმოშენებელი და მონადირე.

(საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მეტი ყურადღება დაეთმოს ძირეულ სასოფლო პრესას

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებებმა დიდად აღაფრთოვანა რესპუბლიკის მშრომელები. სოფლის მშრომელები მთარვალიდ მოეკიდნენ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესრულებას, რომლებიც პლენუმმა დასახა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ახლა ფეთონთ გეგმავენ წარმოებას, აღლენენ რეზერვებს, სახავენ მოსავლიანობის გადიდების, მეურნეობის ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდის.

დიდი შემოქმედებითი მუშაობა, რაც სოფლად გაიშალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ, ყოველმხრივ უნდა გააშუქოს პრესამ. გაზეთებმა უნდა აღწერონ სოფლის მშრომელთა შრომა და ყოფაცხოვრება, აღძრან სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკვანძო საკითხები, იბრძოლონ ყოველივე ახლის, პროგრესულის დანერგვისათვის, აღზარდონ ფართო მასები კომუნისტური სულისკვეთებით, დარაზმონ ისინი ახალი შრომითი საქმეებისათვის.

ამ მხრივ დიდი როლი ეკუთვნის ძირეულ პრესასაც — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კედლის გაზეთებს.

როგორ მუშაობენ სოფლის კედლის გაზეთები სარედაქციო კოლეგიები და აქტივი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ — ასეთი დევიზით გაიმართა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძირეული პრესის რესპუბლიკური დათვალიერება, რომელიც გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციამ მოაწყო. დათვალიერების შედეგებმა შესაძლებლობა მისცა რედაქციის ყოველმხრივ გაეანალიზებინა მათი საქმიანობა, ხელი შეეწყო კედლის გაზეთებს სარედაქციო კოლეგიებსა და აქტივს უფრო ქმედითი, მიზანსწრაფული გაეხადათ თავიანთი პროპაგანდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციის ინიციატივა, რომელმაც მოაწყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კედლის გაზეთების დათვალიერება, და ურჩია პარტიულ კომიტეტებს ფართოდ გავიცანონ მოწინავე კედლის გაზეთების გამოცდილება, რათა დარაზმონ სოფლის მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებათა წარმატებით შესასრულებლად. დასახონ და განახორციელონ არაუბულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი, რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ძირეული სასოფლო პრესის მუშაობა. (საკდესი).

„ზონდ-3“-მა გაღაიღო მთვარის მეორე მხარის ფოტოსურათი

საკვლევის ცნობა

ავტომატური სადგური „ზონდ-3“ განაგრძობს ფრენას ჰელიოცენტრული ორბიტით. პროგრამის შესაბამისად ავტომატურ სადგურ „ზონდ-3“-ის ფრენის დროს წარმოებს სადგურის სხვადასხვა სისტემის შემოწმება და გამოცდა ხანგრძლივი ფრენის რეალურ პირობებში და მთვარეული კოსმოსური სივრცის ფიზიკური თვისებათა კვლევა.

სამეცნიერო ხელსაწყოებთან ერთად სადგურზე დადგმულია აპარატები კოსმოსურ სივრცეში ფოტოსურათების გადასაღებად და შორი მანძილიდან გამოსახულების დედამიწაზე გადმოსაცემად.

ამისათვის სადგურზე არის ფოტო-სატელევიზიო მოწყობილობა და ჯადამცემი რადიოსისტემა, რომელსაც აქვს ხუსტად დამიზნებული, სანტიმეტრის დიაპაზონით მოქმედი პარაბოლური ანტენა. კავშირის სეანსების დროს ორიენტაციის სისტემა ამ ანტენას დიდი სიზუსტით უმიზნებს დედამიწას.

საკომანდო რადიოხაზის საშუალებით ხორციელდება გამოსახულების გადმოცემის რეჟიმი, აგრეთვე სადგურის სხვა აპარატურის მართვა.

ფოტო-სატელევიზიო აპარატურისა და გამოსახულების გადმოცემის რადიოარხების, გამოცდის მიზნით სადგურის ფრენის ტრაექტორია-ისე იყო შეჩეული, რომ მას გეელო შუალედ მთვარის ახლოს და შესაძლებლობა ჰქონოდა გზადაგზა გადაეღო მთვარის ზედაპირის სურათი. მთვარის ფოტოსურათების გადაღება დაიწყო მიმდინარე წლის 20 აგვისტს 1,5 დღეღამის შემდეგ, რაც სტარტი დაიწყო. — 4 საათსა და 24 წუთზე მოსკოვის დროით, როცა ავტომატური სადგური „ზონდ-3“ 11.600 კილომეტრით იყო დამორეული მთვარის ზედაპირს. გადაღება დამთავრდა 5 საათსა და 32 წუთზე დაახლოებით 10 ათას კილომეტრ მანძილზე.

სადგურმა მთვარეს ჩაუფრინა და განაგრძობს მოძრაობას ჰელიოცენტრული ორბიტით. შორდება დედამიწასა და მზეს.

გამოსახულების გადმოცემა პროგრამის შესაბამისად დაიწყო 29 იელის 2,2 მილიონი კილომეტრი მანძილიდან, როცა დედამიწის კუთხური ზომა საკმაოდ ცირე ჯახდა, რათა დედამიწას ხუსტად დამიზნებოდა პარაბოლური ანტენა.

სადგურმა „ზონდ-3“-მა პირველად გადაიღო დედამიწიდან უხილავი მთვარის იმ ნაწილის სურათი, რომელიც ვერ გადაიღეს, როცა საბჭოთა ავტომატურმა საპლანეტთშორისო სადგურმა პირველად გადაიღო მთვარის მეორე მხარე 1959 წლია ოქტომბერში.

გადაღების დაწყების მომენტში სადგურ „ზონდ-3“-დან ხილული მთვარე ავსე მთვარის ფაზა ოთხდოვდებოდა, ხოლო გადაღების დასასრულს მთვარის დასვეს თოქმის ნახევარი ჩრდილში იყო. გადაღების პირველ კადრებში აისახა დედამიწიდან ხილული მთვარის მნიშვნელოვანი ნაწილი. შემდეგი კადრები ასახავენ მთვარის ზედაპირს, რომელიც გეკრიდიდან არის მზით განათებული, და რელიეფი მკაფიო ჩრდილს იძლევა.

სადგური „ზონდ-3“ გამოსახულებას გადმოსცემს 1.100 ჭწკარის მკათიოობით. 10 ათასამდე კილომეტრი მანძილიდან სურათის გადაღების დროს უბრუნველყოფილია მთვარის ზედაპირის დაახლოებით 5 მილიონი კვადრატული კილომეტრის გამოსახულების მიღება.

მიღებული ფოტოსურათების ხარისხი შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ მთვარის რელიეფის მრავალი მეტად საინტერესო დეტალი.

სადგურ „ზონდ-3“-დან მიღებული ფოტოსურათები გამოქვეყნდება ცენტრალურ გაზეთებსა და მეცნიერულ გამოცემებში.

მიღებული შედეგების ანალიზისა და მთვარის ზედაპირის ახალი ნაწილის სურათზე ასახული კოტეერების, ქედებისა და სხვა წარმონაქმნების სახელის დასარქმევად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა სპეციალური კომისია. ავტომატურ სადგურ „ზონდ-3“-ზე გრძელდება მეცნიერული კვლევა.

რადიოხაზის შემდგომი გამოცდისათვის მთვარის მეორე მხარეს ფოტოსურათების გადაღცემა სადგურიდან გაგრძელდება კავშირის შემდეგი სეანსეის დროს, სანამ დედამიწამდე მანძილი ამის საშუალებას იძლევა.

სადგურ „ზონდ-3“-თან მოეწყო კავშირის 38 სეანსი.

სადგურის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

14 აგვისტოს 10 საათზე მოსკოვის დროით სადგური „ზონდ-3“ 5 მილიონ 340 ათასი კილომეტრით იყო დაშორებული დედამიწას.

მიფრინავს „კოსმოსი-73“

საკვლევის ცნობა

1965 წლის 14 აგვისტოს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-78“-ის მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ გაგრძელდეს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკავშირო ალბანეთი 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრები:

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 89.8 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 329 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 206 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 69 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც 19.996 მეგაჰერცი სიხშირით მუშაობს; რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საყოველთაო-გამოთვლითი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

გაპარჯვებული

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრება

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ განიხილეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების 1965 წლის მეორე კვარტლის შედეგები. აღინიშნა, რომ საქართველოს ეკონომიური რაიონის საწარმოთა მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს შეჯიბრება, ძნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სახელმწიფო გეგმების შესრულებაში.

სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ პროდუქციის გამოშვების მეორე კვარტალის გეგმა შეასრულა 102,5 პროცენტით. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია „რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოება გადიდდა 10,2 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულებულია მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების დავალებანი. ათვისებული და წარმოებაში დაწერგულია ახალი სახეობის მანქანები, მოწყობილობა და სახალხო მოხმარების საქონელი. შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულდა 102 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4,8 პროცენტით გადიდდა.

ამასთან ერთად განვლილ პერიოდში, როგორც პროფსაბჭომ და სახალხო მეურნეობის საბჭომ აღნიშნეს, იყო არსებითი ნაკლოვანებანიც. მთლიანად სამრეწველო წარმოების გეგმის შესრულებისას ძირითადი პროდუქციის ნახევარი წლის დავალება ვერ შეასრულეს საფეიქრო ხე-ტყის დასამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოების საწარმოებმა, ზუსტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ. სახალხო მეურნეობის საწარმოთა 12,6 პროცენტმა ვერ შეასრულა წარმოების მოცულობის გეგმა. მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალება.

საქართველოს პროფსაბჭომ და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს მთელ რიგ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები და დაჯილდოვეს ისინი გარდამავალი წითელი დროშებითა და ფულადი პრემიებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემიები მოიპოვეს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, თბილისის № 1 ღვინის ქარხნისა და თბილისის ელექტრული ლამპების კოლექტივებმა.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემიები მიეკუთვნათ ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოს, საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტის ბოლნისის მაღაროთსამმართველოს, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათაშენებელი ქარხნის, გორის ხელსაწყოთაშენებელი ქარხნის, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის, თბილისის კონიაკის ქარხნის, თბილისის საკონდიტრო კომბინატის, რუსთავის ხორცკომბინატის, წულუკიძის ამრეშუმსახვევი ფაბრიკის, ცხაკაიას ჩაის ფაბრიკისა და ბათუმის ავეჯის ფაბრიკის კოლექტივებს.

მეორე ფულადი პრემიები დაამსახურეს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დამიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს, საჩხერის საყალიბო ქვიშის მაღაროთსამმართველოს, აფეთქებით სამუშაოთა სამმართველოს, საქართველოს ქვანახშირისა და მადნის საძიებო ტრესტის, ბათუმის ქარხანა „ელექტროკარის“, თბილისის № 26 კომბინატის სახელობის მანქანათაშენებელი ქარხნის, ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის“, თბილისის ლიტოოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის, თბილისის ცხიმკომბინატის, თბილისის № 4 ღვინის ქარხნის, თბილისის შპალერის ფაბრიკის, ავჭალის მინის ქარხნის, თბილისის № 3 ღვინის ქარხნის, ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკის, ონის № 10 სამკერვალო ფაბრიკის, ქავთისხევის კარიერსამმართველოს, სადმელის ხე-ტყის სახერხი ქარხნისა და თბილისის ქაღალდის ფაბრიკის კოლექტივებმა.

მესამე ფულადი პრემიები მიიღეს ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ცენტრალური ელექტროტექნიკური სახელოსნოსა და სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს, ტყვარჩელის ეეოლოგიურ-საზვერი პარკის, რაჭის სამთომეტალურგიული კომბინატის, ახალციხის ქიმტ-დიატომიტის მაღაროთსამმართველოს, მეორეული და ფერადი ლითონების დამზადების, გადამუშავებისა და გაღების სამმართველოს, კასპის ქარხანა „ელექტროაპარატის“, თბილისის ქარხანა „მიკროძრავის“, ბათუმის გემთსახანაგის შეხვედულებებს.

კოლომბოს კაუჩუკის ფაბრიკის მუშამ, პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ფრანსის აპუხამი რანავაკამ აღნიშნა, რომ ცეილონელ ფელეგატებს საბჭოთა კავშირში ყველგან გულთბილად იღებენ.

— გვაჩვენებენ ყველაფერს, რაც კი გვაინტერესებს, — თქვა მან, — გულახდილად გვიზიარებენ გამოცდილებას, საწარმოო საიდუმლოებებს. საბჭოთა ხალხი სრულიად უანგაროდ გვიწვდის ძმური დახმარების ხელს.

ფრანსის აპუხამი რანავაკა სიხარულით გვიამბობს, რომ ახლა საბჭოთა კავშირი ცეილონში აშენებს მეტალურგიულ და სალტების ქარხნებს, რომ ბევრი ცეილონელი ახალგაზრდა სწავლობს მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში. განა ეს ყველაფერი ცეილონელ ხალხთან საბჭოთა ხალხის მეგობრული დამოკიდებულების მაგალითი არ არის?! — აღტაცებით ამბობს იგი.

14 აგვისტოს ცეილონელი სტუმრები გაემგზავრნენ მახარაძის რაიონში, სადაც გაეცნობიან მეჩაიეობის მეურნეობებს. (საქ-დესი).

ცეილონელთა შთაბეჭდილებანი

შრომელი ცეილონიდან საქართველოში ჩამოვიდნენ ჩაისა და კაუჩუკის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის წარმომადგენლები ნონა ალენი. ედირისურია არიავატი და ფრანსის აპუხამი რანავაკა. ცეილონელი ხალხის წარმომადგენლებმა საბჭოთა კავშირში ათი დღის ყოფნის განმავლობაში უკვე მოასწრეს სწვეოდნენ მოსკოვს, უზბეკეთს, აზერბაიჯანს. როგორც ისინი აქმობენ, მათ წარმატები შთაბეჭდილებები მიიღეს დელეგაციის წევრები დიდი ინტერესით გაეცნენ თბილისის ჩაის ფაბრიკას.

კოლომბოს ჩაის საწონი ფაბრიკის ჩაის შემფუთავმა ედირისურია არიავატმა საქმედაის კორესპონდენტს უთხრა:

პირველად ვხედავ ისეთ ფაბრიკას, სადაც ითქმის ყველა საწარმო პროცესი მექანიზებული და ავტომატიზებულია. ჩვენში მხოლოდ ხელით შრომობენ. ცეილონის ფაბრიკებში რომ მანქანები დადგან, ჩვენ დავკარგავთ ყველაზე დიდმნიშვნელოვანს ჩვენს ცხოვრებაში — სამუშაოს.

ედირისურია არიავატი აღტაცებულია თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკაში არსებული სანიმუშო სისუფთავითა და წესრიგით. მან ყურადღება მიაქცია საწარმოს ხელმძღვანელებისა და მუშების ურთიერთობას.

— თქვენში მუშები, ფაბრიკის სრულუფლებიანი პატრონები არიან. ისინი ერთ მეგობრულ კოლექტივად არიან შეკავშირებულნი და ზრუნავენ თავიანთი საწარმოს აყვავებისათვის — ხაზგასმით აღნიშნა მან.

ცეილონელმა მუშამ შეიტყო, რომ თბილისის ფაბრიკის მუშაკებს აქვთ სასადილო, კლუბი, საბავშვო ბაღი, ბაგა. —ჩვენი თვალით ვნახეთ, აღნიშნავს ედირისურია არიავატი, რამდენი რამ გაკეთდა საბჭოთა ქვეყანაში მუშათა კეთილდღეობისათვის“.

ნონა ალენიც კოლომბოს ჩაის საწონი ფაბრიკის შემფუთავია. იგი მთლიანად იზიარებს თავისი ამხანაგის აღტაცებას.



საქართველოში სამ დღეს იმყოფებოდნენ სტუმრად ლიბანის გაზეთების მფლობელთა სინდიკატის თავმჯდომარე აფიფ ტიბი, გაზეთ „თაიარ ტელეგრაფის“ მფლობელი ტიუფიკ მეტნი, ყურნალ „ჯუმჰურ ალ-ჯადიდის“ მფლობელი ფარიდ აბუ-შაძლა და ლიბანში სსრ კავშირის საელჩოს პირველი მდივანი ვ. ნიკულინი.

სურათზე: (მარცხნიდან) ვ. ნიკულინი, ფარიდ აბუ-შაძლა, აფიფ ტიბი, ტიუფიკ მეტნი და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტი ი. იცკოვ.

ფოტო ვ. გოგოხიასი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ

ზანზიბარი, 14 აგვისტო. (საკდესი). მეგობრული დახმარება, რასაც საბჭოთა კავშირი ზანზიბარს უწევს, ხელს უწყობს ორი ქვეყნის ხალხებისა და მთავრობების ძმური ურთიერთობის განმტკიცების საქმეს, განაცხადა ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა აბიედ კარუმემ. მან სიტყვა წარმოთქვა დარბაზობაზე, რომელიც გუშინ გაიმართა ზანზიბარიდან საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფის გამგზავრებასთან დაკავშირებით.

აბიედ კარუმემ მიმართა საბჭოთა სპეციალისტებს და მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ მათ ცოდნა და გამოცდილება გაუზიარეს ზანზიბარელ ხალხს აქ ერთი წლის ყოფნის მანძილზე.

თავისი სიტყვის დასასრულს პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა აღლეგრძელა საბჭოთა კავშირის მთავრობა და ხალხი, გამარჯვება უსურვა ორი ქვეყნის მარადიულ და ურღვევ მეგობრობას.

იქმნება ახალი ჰიდროკვანძი

ᲛᲝᲜᲐᲕᲐᲜᲗᲕᲘ, 14 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ა. ოსიპოვი გვატყობინებს:

სომალის რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილში სოფელ ფრანლილისთან, მდინარე ჯუბის ქვემო წელში წარმოებს საბჭოთა ჰიდროკვანძის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები. ამ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება, დიდი მნიშვნელობა ექნება სომალის სახალხო მეურნეობისათვის. მისი სიმძლავრეა 5 ათასი კილოვატი, რაც ოდრის სომალიში ახლა მოქმედ ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრის ნახევარს.

ჰიდროკვანძი ელექტროენერგიით მოამარაგებს მთელ რიგ ქალაქებს, აგრეთვე მებამბეობის სახელმწიფო მეურნეობას, ზეთოვანი კულტურების სახელმწიფო მეურნეობას და ბამბის საწმენდ ქარხანას, რომელიც ამ რაიონში შენდება საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით.

ჰიდროკვანძი საშუალებას შექმნის აგრეთვე მორწყან დიდი ფართობები ჯუბის პირა რაიონებში.

გაჯყავთ თავისიანი

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 14 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო გვატყობინებს:

ვაშინგტონს იმედი აქვს, რომ მომავალ კვირაში დომინგოს რესპუბლიკაში ეყოლება „დროებითი მთავრობა“ გარსია გოდოის მეთაურობით. ეს იმედი ძირითადად ემყარება იმას, რომ რესპუბლიკისათვის ფინანსური დახმარების შეწყვეტა — რაც რამდენიმე დღის წინათ სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა — აიძულებს როგორც კაამანოის კონსტიტუციურ მთავრობას, ისე გენერალ იმბერტს სამხედრო ხუნტას მიიღონ ეგრეთწოდებული „ინსტიტუციური აქტი“, რომლის შესაბამისად დომინგოს რესპუბლიკაში გაიერკვევიან ერთი დარჩენილი ამერიკის სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა „ინსტიტუციური აქტი“, რაც რესპუბლიკაში საოკუპაციო რეჟიმის გაურკვეველი ვადით გაგრძელების შინაარსი ფორმაა. ამას ადასტურებს თვით გარსია გოდოის გახსნდება. მას აქედანვე მიაჩნია, რომ არჩევნები დომინგოს რესპუბლიკაში უნდა მოეწყოს არა ცოტა თვის შემდეგ, როგორც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ განაცხადა, არამედ ორი-სამი წლის მანძილზე. მანამდე კი გოდოის მთავრობას განზრახული აქვს დაეყრდნოს ამერიკის სახელმწიფოთა ჯარებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მორჩილ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას ენერგიულად გაპყავს პრეზიდენტად გარსია გოდოი. ამასთან ამ ორგანიზაციამ წამოაყენა მოთხოვნები, რომლებიც სამდგილად ამეიტებელია ვაშინგტონის. ძირითად პოლიტიკურ და სამხედრო მუხლებს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტონ საჰაერო თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესიული ომი ჩვენი ქვეყნის სამხრეთის წინააღმდეგ, გაიყვანონ იქიდან მთელი თავიანთი ჯარები, აგრეთვე გაიტანონ ამერიკის მთელი იარაღი“. მთელ ჩვენი ხალხი, — თქვა დასასრულ ხო ში მინმა, — დღეს ყოველი ღონისძიებით იბრძვის, რათა დაამარცხოს ამერიკის აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, დაიცვას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, გაათავისუფლოს სამხრეთი და უზრუნველყოს მშვიდობიანი გაერთიანება — მიაღწიოს ყველა ვიეტნამელს ამ მთავარ მიზანს.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲜᲘᲜᲔ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, 14 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის სამამულო [illegible] გუშინ გამოაქვეყნა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ სამხრეთ ვიეტნამში „გაგზავნეს ამერიკის ჯარების ახალი კონტინგენტები. ვიეტნამის 30 მილიონიანმა ხალხმა, ნათქვამია განცხადებაში, ერთსულოვნად გადაწყვიტა დაამარცხოს ამერიკელი აგრესორები თუნდაც ამისათვის საჭირო გახდეს ხუთი, ათი, ოცი და მეტი წლის ბრძოლა.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტონ აგრესია სამხრეთ ვიეტნამში და ომის ყველა აქტი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. სამხრეთ ვიეტნამიდან გაიყვანონ მთელი თავიანთი ჯარი და სატელიტთა ჯარები. პატივი სცეს და ზუსტად დაიცვან ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ.

ᲩᲐᲛᲝᲒᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ 472 ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲙᲝᲠᲑᲠᲐ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, 14 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის არმია და ხალხი კვლავ გმირულად იგერიებენ ამერიკის ავიაციის მეკობრულ თავდასხმებს. ნინ-ბინის, პა-ნამისა და პა-ტინის პროვინციებზე გუშინდელი თავდასხმების დროს ჩამოგდებულია კიდევ ექვსი ჰაერის მეკობრე. ამრიგად, ამერიკის იმ თვითმფრინავთა საერთო რიცხვი, რომლებიც 1964 წლის 5 აგვისტოდან ჩამოგდებულია ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დღეისათვის შეადგენს 472-ს.

ᲰᲝ ᲨᲘ ᲛᲘᲜᲗᲘ: ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 14 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „მონდის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა განაცხადა, რომ სამხრეთ ვიეტნამის პრობლემის გადაჭრის უფლება ვიეტნამელ ხალხს ეკუთვნის. ეს პოზიცია შეესაბამება „სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის — სამხრეთვიეტნამელი ხალხის ერთადერთი ნამდვილი წარმომადგენლის პროგრამას“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

იმისათვის, რომ დაიწყოს ვიეტნამელ ხალხთან შეგ მინმა, შეერთებულმა შტატებმა „საქმით უნდა დაადასტუროს“, რომ ეთანხმებიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოზიციას, რომელიც შეესაბამება ვიეტნამის შესახებ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა ძირითად პოლიტიკურ და სამხედრო მუხლებს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტონ საჰაერო თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესიული ომი ჩვენი ქვეყნის სამხრეთის წინააღმდეგ, გაიყვანონ იქიდან მთელი თავიანთი ჯარები, აგრეთვე გაიტანონ ამერიკის მთელი იარაღი“. მთელ ჩვენი ხალხი, — თქვა დასასრულ ხო ში მინმა, — დღეს ყოველი ღონისძიებით იბრძვის, რათა დაამარცხოს ამერიკის აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, დაიცვას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, გაათავისუფლოს სამხრეთი და უზრუნველყოს მშვიდობიანი გაერთიანება — მიაღწიოს ყველა ვიეტნამელს ამ მთავარ მიზანს.

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲡᲝᲤᲘᲐ. ბულგარეთის ძველთაძველ ქალაქ კოპრივშტიცში გაიმართა ხალხური შემოქმედების პირველი ეროვნული დათვალიერების საზეიმო გახსნა. დათვალიერებაზე რვაფის ოსტატობას უჩვენებს ორი ათასზე მეტი მომღერალი, მუსიკოსი, დეკლამატორი და მოცეკვავე. დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, კუბის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. (საკდესი).

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲜ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 14 აგვისტო. (საკდესი). ძლიერდება სამხრეთ არაბეთის პატრიოტთა ბრძოლა ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. არაბეთის ნახევარკუნძულის ოკუპირებული სამხრეთის გათავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენლის განცხადებაში ნათქვამია, რომ განმათავისუფლებელი არმიის რაზმები წარმატებით დაესხნენ თავს ინგლისის სამხედრო საგუშაგოს დალის რაიონში, საგუშაგოზე ყველა ჯარისკაცი დახოცეს.

პატრიოტები ჩასაფრდნენ ელ-მანდის რაიონში და დახოცეს 13 ინგლისელი ჯარისკაცი. ოთხი ინგლისელი ჯარისკაცი დაიღუპა ნაღმის ეფეთქების შედეგად, რომლითაც აჯანყებულებმა დანაღმეს ერთ-ერთი გზა. პატრიოტთა იერიშის შედეგად ოცდალი ძალისა და ტანკების დიდი დანაკარგი ჰქონდა ინგლისის ჯარებს ქვეგანაყოფს ადენიდან ჩრდილოეთ-დასავლეთ-ში. ნაღმის აფეთქებისას დაიანია ძვირად ღირებული ტანსაფორმატორი ქალაქ შეიხ-ოსმანში.

ინგლისელი კოლონიზატორები, რომლებიც ვერ უძლევდებიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთში მზეთდობიან მოსახლეობაზე იყრიან ჯავრს. დასახლებულ პუნქტ დატინაში მათ დაბომბეს 40 მეცხოვრები. ამის პასუხად ადგილობრივმა მოსახლეობამ მოაწყო საპროტესტო დემონსტრაცია.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲔᲜ...

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 14 აგვისტო. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი პრესის საკითხებში გუშინ მიუსამა სამხრეთ კორეის მთავრობის გადწყვეტილებას, რომ 15 ათას ჯარისკაცს გაგზავნის საიგონის რეჟიმისა და ამერიკის ჯარების დასახმარებლად სამხრეთ ვიეტნამში.

ორი ათასი სამხრეთკორეელი ჯარისკაცი უკვე იმყოფება სამხრეთ ვიეტნამში. სულის ბალი ფიფიზია სამხრეთ ვიეტნამში იგზავნება იმის სანაცვლოდ, რომ ამერიკის მთავრობამ ვალდებულება იკისრა შეაიარაღოს და მოამზადოს სამხრეთ კორეის რამდენიმე დივიზია.

ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲐᲚᲟᲘᲠᲘ, 13 აგვისტო. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა პარტიათა ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ალმასრულებელი სამდივნოს კომუნიკე. როგორც კომუნიკეშია აღნიშნული, ალმასრულებელი სამდივნოს წევრების მოვალეობა აწარმოონ მეგობრული საუბარი ალჟირელ ხალხთან, ალჟირელ ხალხს ეკუთვნის ადგილი ალჟირის ეროვნული ფრონტის ალმასრულებელ სამდივნოში, ალჟირელ ხალხს ეკუთვნის ადგილი ალჟირის ეროვნული ფრონტის ალმასრულებელ სამდივნოში, ალჟირელ ხალხს ეკუთვნის ადგილი ალჟირის ეროვნული ფრონტის ალმასრულებელ სამდივნოში.

ხალხური სიბრძნე

სიმართლე

სიმართლე ბასრი ხმალია,
მტყუანთა შესაშესრავი,
იგი არც კვდება, არც ტყდება,
არის ერთავად უცვლელი.

არც იუანგება არასდროს,
მუდამ კაშკაშებს, პრიალებს,
მებად ეცემა ბოროტსა,
ავს დასწყვეტს, გაატიალებს.

იგი იმარჯვებს ყოველთვის,
მისი გზა მარად ხსნილია,
კაცი სიმართლის მიმყოლი
თაფლზე, ათასჯერ ტკბილია.

სიმართლე არის ძლიერი,
მომგალეჯი მთა და გორისა
და გზა და ხიდი უნგრევი
ადამიანთა შორისა.

სიცრუე ანგრევს ქვეყანას,
სიმართლე აგებს, აშენებს,
ბზენ ეფინება მთას და ბარს,
გაზაფხულივით აშშვენებს.

სიმართლე მიყვარს, თაყვანს ვცემ,
მე ის მიმიჩნევ ღმერთადა,
ღვიძლი ძმები ვართ მე და ის,
დავიარებით ერთადა.

ნ. ბულულაური,

სოფელი მაღაროსკარი, დუშეთის რაიონი.

სიმღერა

გალალებული გლეხ-კაცი,
დახვავდა მოსავალია,
ბერი გაგლეწეთ, მოგვ-ეკვის
ყალზე დიდი ძალია;
ზოგ სიხარულმა დაათვრის,
თითქოს ღრაყით მთვრალია.

ხელი-ხელ ჩაკიდებულან
მამაკაცი და ქალია,
ალარ იციან, ბუნებას
რით გაესწორონ თვალია.

ნ. გორელაშვილი,

სოფელი საკობიანო, ახმეტის რაიონი.

იმ დღის აქეთ...

ზაფხულის დასაწყისში აშურიანის ველის ნახვა არა შეიძლება რა. განსაკუთრებით მომხიბლავია მტკვრის მიდამოები. გაღმა-ბეკობის ასფალტივ სოფელი მეტეხია, მის დაყოლებაზე კი ზურეულტოვანი ბაღვენახები ხატავენ ქვემო ვომს... ჩამავალი მზის სხივებით განათებულ თრიალეთის მთის მწვერვალებზე შეჯარული ღრუბლები ცეცხლის ნაღვერდლებს მოგაგონებთ.

აქვე ახლოს ადიდებული მტკვარი მოელვარეა. მაღლობიდან კი მეტეხის ტაძარი გადმოყურებს ხეობას. ტაძრის მომწვანო გუმბათზე მზის უკანასკნელი სხივი ციაგობს.

ბევრი რამ შეცვლილა აქ. სწორედ 24 წლის წინათ მომხიდა ამ ველზე ყოფნა... მაშინ ომის გრიგალი ბობოქრობდა...

ფიქრმა მოგონებათა სიღრმეში ჯადამიყვანა და ის ქალაქდაანი აგრონომი ქალიშვილი გამახსენა, 1941 წლის ზაფხულში აშურიანის ამ ველზე რომ გავიცანი.

...მინდვრის პირას, სადაც მტკვარი მოედინება, მაღალი ვერხვები დგანან, ფოლტეს ძირში ციცი წყარო გადმოწოწრეხებს... ჰაპანაქვეა სიცხეში კოლმეურნეები ამ წყაროსთან მოდიან, წყურვილს იკლავენ და ჩრდილში ისვენებენ. ეს შუადღისას ხდება ხოლმე.

სამხრობისას კი, როცა მზე თრიალეთის მთების ბაღვრივ გადაიხრება და ვერხვების ფოთლებში სიო აჩურჩულდება, კვლავ ცოცხლდება მინდორი. ღვივიერს დათეთხილი ბუნება... მუშაობას მაღლი და ლაზათი ემატება. იმ ზაფხულსაც სწორედ ასეთი სიცხეები იყო. აშურიანის ყანებში მარცვალმა ცვივნა დაიწყო. მეტეხელები კი თითქოს არ ჩქარობდნენ. სწორედ ეს უკლავდა გულს ახალგაზრდა აგრონომს — ილია ნაპირაძეს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პირველად მოუხდა პრაქტიკული საქმესთან პირისპირ დგომა. მაშინ კასპის უბნის აგრონომი იყო და მეტეხის ზონაში მუშაობდა. იულიას დავალებული ჰქონდა სასწრაფო ღონისძიებანი განეხორციელებინა მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

მტკვრის პირიდან კვირნაკის მთების ძირამდე კარგად შემოსულ ყანას თავთავები დაეხარა.

საგონებელში ჩავარდა ქალიშვილი... გამოცდილება აკლდა — დავალება კი უნდა შეესრულებინა...

ყველაზე მთავარი უბანი აშურიანი იყო. მინდორში გასულ იულიას გული ეტკინა. მკა გვიანდებოდა, ხოდაბუნებზე კი არავინ ჩანდა. შორს... კვირნაკის მთის ფერდობის ძირში უმოქმედოდ იდგა კომბაინი. ცუდად ენიშნა ყოველივე. შეცბუნებული ისევ თავქვე დაეშვა და კონკელაზე შეყვნებულ ურემთან მივიდა. იულიამ ურემზე დადებული კასრი ონკანი მოუშვა და პეშვი შეუვსია. ერთი მუჭა წყალი შუბლზე შეისხა... დაღლილობა იგრძნო. ამიტომ იქვე, ურმის თვალთან ჩაიმუხლა და ფიქრს მიეცა... თაკარა მზე სულ უფრო მტკად ახურებდა გამოვკალულ მიწას...

თითქმის მთელი საათი ასე გარინდებულმა გაატარა. შემდეგ წამოდგა, ყანის სიღრმეში შეეიდა. ნაბიჯით დაანლოებთ ერთი კვადრატული მეტრი ფართობი მოზომა. ორივე მუხლზე დაიჩოქა და მიწაზე ჩაბნეული ხორბლის მარცვლები აკრიბა, ხელსახოცში გამოაკრა და ჯიბეში ჩაიდო.

როცა ყანიდან გამოვიდა, შენიშნა, რომ ერთ-ერთ კოლმეურნეობის თავმჯდომარე სიმონ ბოგბელი მოდიოდა. თავმჯდომარემ იცნო ქალიშვილი, — წინადღიან რაიონში გამართულ თათბირის შემდეგ გაესწო მტსის დირექტორმა და თანაც უთხრა, ეს აგრონომი თქვენს კოლმეურნეობაზეა მინაგრებულიო. სიმონი ბუნებით წყნარი და კეთილი კაცი იყო. სახეც მუდამ ულრუბლო ცასავით ულიმოდა. იულიამ მაშინვე ეს თვისება შენიშნა მის გამოხედვაში.

— გამარჯობათ, ქალიშვილო, — მიესალმა ტკბილად სიმონი.

— გამარჯობათ, პატივცემულო სიმონ, — მორცხვად უპასუხა იულიამ...

— გვიანდება მკა, არა?..

ქალიშვილს გაუკვირდა, — თავმჯდომარემ სწორედ ის უთხრა, რაც თვითონ უნდა ეთქვა მისთვის. — „გულთამამილავი კაცი ყოფილაო", — გაიფიქრა იულიამ.

თავმჯდომარემ კარგად იცოდა, რომ გვიანდებოდა, მაგრამ რა ეღონა... ომში წავიდხენ ბურის მომყვანი ვაკაცები. ვისაც მალავში და წუხლში ძალა ქონდა, შინ რა გააჩერებდა! სამშობლოს პირველსავე დაძახილზე იარაღი აისხეს და ბრძოლის ველზე გაეშურნენ. სოფელი მოუცებისა და ქალების ანაბარა დარჩა. საქმე კი ისევ გამოუღეველი იყო. სიმინდსა და ბაჭრის ჭარხალს კათოხნა და მორწყვა უნდოდა, ბაღ-ვენახებს — წამლობა.

ფიქრიდან გამოსულმა თავმჯდომარემ იულიას უთხრა, ამ სადამის კრება მაქვს მოწვეული. მთელი სოფელი ფეზზე უნდა დავაყენოთ. ერთი კომბაინით ფონს ვერ გავალთ, ვისაც ნამგლისა და ცელის ხმარება შეუძლია, აქ უნდა გამოვიყენოთოთ.

— ახლა კი კომბაინთან მივიდეთ, როგორც ვხედავ, მოონი გაჩერებულია. გაგიგოთ, რაშია საქმე

— დიახ, უქმად დგას, — ჩუმად ჩაილაპარაკა იულიამ.

ხუთ წუთში უკვე კომბაინთან იყვნენ. კომბაინის ძირში მძინარე ბიჭი შენიშნეს. სიმონმა გააღვიძა იგი. სიცხით დათენთილი ბიჭი ზლაზვნით წამოდგა ფეხზე. თვალები მოიფშვნიტა და თავმჯდომარეს მიაჩერდა.

— სად არის ოთარი? — შეეკითხა სიმონი.

— ოთარი კასპში წავიდა. კომბაინს ნაწილი გაუტყდა და უნდა მოიტანოს.

ახალგაზრდა აგრონომი მიხვდა, თუ რა ბევრი დაბრკოლებაა პრაქტიკულ მუშაობაში. მიხვდა, მაგრამ გაახსენდა პროფესორების გაფრთხილება, სიძნელეს არ უნდა შეგაშინოსო.

მოაღაფოვდა. კოლმეურნეობაში კრება დაიწყო...

სიმონ ბოგველმა კოლმეურნეებს მოკლედ განუმარტა კრების მოწვევის მიზანი:

— ყანები მოსამკალია, აღება კი გვიანდება... ყველა, ვისაც კი ცელის, ნამგლისა და სამთითის ხმარება შეუძლია,— აშურიანზე უნდა გამოვიდეს. თუ ასე არ „მოვიქეცით, ზღის მოსავალი ხელიდან წაგვივა.

— როდის იყო, რომ ქალები ყანას მკიდნენ, — დაიძახა ვიღაცამ.

—ომია, — უპასუხა თავმჯდომარემ, — არ უმკიათ, მაგრამ ახლა უნდა მკან. თუ გაეჭირდა, გუთნისდედობაც უნდა იკისროს. ვაკაცები ბრძოლის ველზე არიან, მაშ ვინ გაგიკეთებს საქმეს, თუ ჩვენ თვითონ არ მივხედეთ მინდორს?

— სწორია, ჩვენ თვითონ უნდა ავიღოთ მოსავალი, — იქუხეს ერთხმად ქალებმა და კაცებმა.

— ამხანაგებო, თქვა დინჯად თავმჯდომარემ, აი ახალი აგრონომი გამოგგიგზავნეს, ამასაც ვთქმევინოთ ერთ-ორი სიტყვა.

იულიას გული აუძგერდა, ძალა მოიკრიბა და დარწყო:

მშვენიერი მინდორ-ველი გქონიათ... თუ მკა სწრაფად არ დავამთავრეთ, ნახევარზე მეტ მოსავალს დაკარგავთ. პური შემოსულია. ყოველდღე იზრდება დანაკარგი. აი ამ ხელსახოცში გამოკრული ერთი მუჭა ნარეკვალი მხოლოდ ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე აკრიფე. ჰექტარზე კი ათი ათასი კვადრატული მეტრია. გამოდის, რომ ათი ათასი მუჭა ხორბალი უკვე გეკუთვნოდა. ახა, ინანარეშეთ ეს რამდენი კილოგრამი იქნება! მერე ვის აკლდება ეს?

— ჩვენს შვილებს, სახელმწიფოს, ფრონტს, — ეს სიტყვები მდელვარებით წამოიძახა კოლმეურნე ტერეზა ოდიშარიძემ, რომლის მეუღლეც უკვე ფრონტზე იყო წასული. მისმა ხმამ დუმილი გაამეფა დარბაზში... იულიამ იგრძნო, რომ ბევრნი მასავით ფიქრობდნენ, ამიტომ თავის სიტყვას მეტი მნიშვნელობა მისცა:

— ომიანობის ამ მრისხანე ქამს, ამ გაჭირვების ქამს, მარცვლეულს ვინ დაკარგავს?..

აგრონომის ასე ნათლად და დამაჯერებლად ნათქვამმა ფეზზე წამოაყენა ღრმად მოხუცი ივანე გუბულაშვილი...

— მართლაც ცოდოა ჭირნახულის დაკარგვა, — თქვა მან. — შვილებო! უნდა გავიდეთ აშურიანზე. ჩვენი საქმე თუ ჩვენ არ გავაკეთეთ, სხვა ვინ გაგვიკეთებს?.. ამაღამვე დალესეთ ნამგლები. დედაკაცებმაც უნდა აიღონ ცელები. ჯი დედასა, უწინდელ დროში, როცა სამშობლო მოითხოვდა, ქართველ ქალებს ხმლებიც ეჭირათ ხელში. ამაზე დიდი განსაცდელი რაღა უნდა იყოს, ობია!

ამ მოხუცის შემდეგ სიტყვა აღარავის მოუთხოვია.

ყველაფერი ნათელი იყო.

ზადაწყვეტილ ოცდაოთხი წლია შემდეგ კვლავ მენახა იულია ნადირაძე. რაიონში მითხრეს, — იგი ახლა კასპის კოლმეურნეობის მთავარ აგრონომად მუშაობსო. მეც იქით გავემურე. თეთრადხვეი გაეიარე და ნაზვრავის ვენახებიაკენ შევუკვეთე.

ნაზვრავის ვენახების თავში, არსენას გამოქვაბულის დაკოლებაზე, რუს გადადგა თალხებში გამოწყობილი ქალი შეეგებინეს. იგი ცემენტით მოპირკეთებულ რეზერვუართან იდგა და შაბიამნის ხსნარის ხარისხს ამოწმებდა.

— ვანო!ა! კარი აკლია. დაუმატეთ, თორემ წამალი ფოთოლზე არ გაჩერდება,—უთხრა თალხებიანმა ქალმა ერთ-ერთ კოლმეურნეს. მეკენახეს თითქოს შერცხვა, ეს როგორ მომიგიდაო, და სიტყვაშეუბრუნებლივ ვედროში ჩაუმქრალი კირი ჩაყარა, წყალი დაასხა და სარით მოურია... შემდეგ მეორე ვედროში გადაწურა და საცერში გატარებული კირის რძე შაბიამნის ხსნარის რეზერვუარში ჩაასხა.

— ერო ამბავს გეტყვი, — წამოიწყო მეკენაჯე კოლმეურნემ, — ამურიანზე ზაზის ჩაყრაზე მიდგა საქმე. ბევრი წინააღმდეგი იყო, — „რა საჭიროა ... [illegible] ჩვენი აგრონომი ... [illegible] ნამდვილი საკენაჯე მოვალ ეს მინდორიო.

სხვები კი [illegible] წინაპრებს აკ[illegible] ... ვაზი, ჩვენ რაღად უნდა გავაშენოთ, განა მამა-პაპებმა უკეთ არ იცოდნენ, სად იხარებდა ვაზი".

აგრონომი უმტკიცებდა ყველას, რომ ნიადაგი შემოწმებულია. მაგრამ ვერავინ ვერ დაჯერა. მაშინ ფეზზე ადგა მაღალი სანერგე და სატყეო მოითხოვა. ყველას ეგონა, რომ ისიც აგრონომის საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა, მაგრამ მოტყუვდნენ.

— ყველა გაიძახის, რომ აშურიანზე ჩვენს მამა-პაპას ვენახი არა ჰქონიაო. რა იცით, რომ არა ჰქონიათ. მაშ, ვინ ჩაყარა „დიდი თელის" მიწებში ოცკოკიანი ქვევრები?

— ეს რაღა მოიგონა სანდრუამ! — დაიძახეს აქეთ-იქიდან.

მაგრამ სანდრუას უკან არ დაუხევია.

სანდრუამ ყველას ფარხმალი დააყრევინა. იულიას წინადადება გავიდა. ახლა აშურიანზე ისეთი ვენახები აქვთ, რომ მტრის თვალს არ ენახეს.

კოლმეურნეთა საუბარში თავიანთი სოფლის აგრონომისადმი ღრმა პატივისცემა და სიყვარული შეეცანით... ღილით კი ისევ ვნახე აგრონომი.

— მთავარი ის არის, — მითხრა მან, — რომ ადამიანს უყვარდეს ის საქმე, რომელიც მინდობილი აქვს. ხალხს არა გამოეპარება რა, მშვენივრად ხედავს ავსა და კარგს. სანამ შემძლია, ვიმუშავებ.

ამ დროს პატარა ბავშვი შემოვიდა და იულიას უთხრა, მძღოლი გეძახის, მანქანა მზად არისო.

— ბოდიში, — მითხრა იულიამ, — მინდორში მანქანას ნაწილი უნდა გამოვუცვალოთ, იქ მიმეჩქარება.

ასეა ყოველ ღილით, ყოველდღე. კოლმეურნეობის აგრონომს საქმეზე მიეჩქარება, მინდორ-ველი ეძახის...

ისიც იქით მიიჩქარის...

შ. შაველაშვილი.

სამშობლოს მომღერალი

ერს ალბა ბოსკოვი საირმიდან, დუშანბეც, ბაქოც შორ ს არის. მაგრამ ეს ჭკვიანი გამოჩენილ საბჭოთა პოეტს სერგეი მიხალკოვს, ტაჯიკ პედაგოგს დარია ბერესულეკას ან აზერბაიჯანელ რეჟისორს დანიელ სეიჯანოვს — რამ მოიყვანა ისინი ამ სიშორიდან?

— მინერალური წყლით მკურნალობა ბევრგან ვცადეთ, მაგრამ საირმე მაინც სხვაა... ვიტყუოთ, აქედან სავსებით განკურნებული, გაჯანმრთელებული დავბრუნდებით.

ახე. ამბობენ ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულნი, ასევე წერენ შეთანხმებულებათა წიგნში ჩვენი, რესპუბლიკის მშრომელებიც — ცნობილი მეჩაიე ტატიანა ჩხაიძე, ეაზბეგელი მეწყემსი გიორგი სუჯაშვილი, თბილისელი ფეიქარი გ. ბიბილეიშვილი, ჭიათურელი მაღაროელი რაჟდენ ნიფარიძე.

წერენ და ამბობენ — ეს წყლები სასწაულმოქმედიაო, და ასეც არის.

ვინ არ მოხიბლავს საირმე, დიდებული ბაღი, ბუნებითა და შესანიშნავი სამკურნალო წყლებით განთქმული ეს მაღალმთიანი კურორტი!

ჩვენმა დიდმა გეოგრაფმა ვახუშტიმ საირმის შემოგარენი რომ შემოიარა, მის [illegible] ალთებს, „აყირლეული, ნიგვზნარ-ხილიანი-ვენახიანი" უწოდა. და იქვე დაუმატა: „ნადირნი მრავალნი და აღვსილნი ტყენი [illegible] დიდითურთ. ფრინველნი ურაცხენი".

ამ მრავალ ნადირთგან [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ბრაზილიური ქარნავალი

რიო-დე-ჟანეიროში ქარნავალია, ირგვლივ მხიარულება, ცეკვა-თამაში სიმღერაა. ბალებში, ქუჩებში, პლაჟზე უამრავი ხალხია და ყველგან სიცილი და სიხარულია. ჩამოსულან ბრაზილიის სხვადასხვა კუთხიდან — ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან. ქალი, ბავშვი, მოხუცი და ახალგაზრდა, დიდი და პატარა, ძველ ინდიელთა სხვადასხვა ტომის ბრეყვიალა ტანისამოსში გამოწყობილნი... რიტუალური ცეკვა ცეკვას ცვლის, კუნთი ირთის და თვალი ელვარებს — მღერის და ცეკვავს ბრაზილია...

ასეთი შთაბეჭდილებით ვბრუნდებით ბრაზილიელ ესტრადის მსახიობთა კონცერტიდან (ფილარმონიის საზაფხულო თეატრში). გვესმის ეროვნული საკრავების „ზაბუმბასი“ და „ფუშეს“ რიტმების ხმა, სოლისტ კარმელია ალვესის აკანყებულთა სიმღერა, სადაც მოთხრობილია, რომ ლატაკი ბრაზილიელი თავის ბედიდბალს საკუთარი ხელით სჭედს.

ვუცქერით მოცეკვავეთა ტრიო „ფლუმინენსეს“. ისპობა ზღვარი სცენასა და მაყურებელთა დარბაზს შორის. მოცეკვავე ჩამოდის სცენიდან დარბაზში და რიგრიგობით იწვევს მაყურებელს საცეკვაოდ. თუ აქამდე ჩვენ ვიყავით ბრაზილიელთა კონცერტზე სტუმრად, ახლა ბრაზილიელთა მოცეკვავეები ჩვენთან, მაყურებელთა დარბაზში. ირგვლივ საკარნავალო განწყობილებაა. ისმის სიმღერა, მღერის თბილისელთა ძველი ნაცნობი **ეროვნ გოულარტი**, მის სიმღერას მიეყავართ ბრაზილიის ერთ-ერთ შტატში — ბაიაში, სადაც მომხიბვლელი ქალები არიან. ვათვალიერებთ „კოპაკაბანას“ მსოფლიოში განოქმულ პლაჟს, დავდგართ ულამაზესი ქალაქის ქუჩებში...

მაყურებელი კმაყოფილი და ნასიამოვნებია. იგი „ეოგზაურობს“ ბრაზილიაში სიმღერისა და ცეკვის საშუალებით, თანაც ულამაზეს ქალაქში რიო-დე-ჟანეიროში ჩადის მაშინ, როცა იქ კარნავალია.

ზ. რცხილაძე.

სურათებზე: მარცხნივ ესტრადაზე არიან ბრაზილიელი მსახიობები; მარჯვნივ — მღერის ჟორჟე გოულარტი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

სიცოცხლის დაგრუნება

...**ოპერაცია** დასასრულს უახლოვდებოდა, ექიმებმა გაკეთეს სისხლძარღვები, შეაჩეროს სისხლის დენა და უკანასკნელი ნაკერები უნდა დაედოთ, როცა სამშროლა წარმოიქმნა, ავადმყოფს პულსი გაუჩერდა, გაუქრა არტერიული წნევა, შეეწყვეტა სუნთქვა. ეს კლინიკური სიკვდილი იყო. რეანიმატოროთა ბრიგადა სასწრაფოდ იქნა გამოძახებული საოპერაციოში და ექიმების ადგილი დაიკავა.

ექიმებისა და სამედიცინო დების მოვალეობა მკვეთრად არის განსაზღვრული, ერთდროულად სრულდება გაცოცხლებისათვის საჭირო ღონისძიებანი. ხელოვნური სუნთქვის აპარატის მეოხებით ფილტვების ძალდატანებითი ვენტილაცია ხორციელდება. არტერიებსა და ვენებში შეპყავთ ორნახევარი ლიტრი კონსერვირებული სისხლი. მაგრამ მთავარი ის არის, რომ „აიძულონ გული შეაკუმშოს. ექიმი გულის კუნთების მასაჟს იწყებს: აი პირველი ფითქოს უხილავი პასუხი ექიმის მოქმედებაზე, შემდეგ უფრო დამაჯერებელი, და აი როგორც იქნა — გული დამოუკიდებლად იკუმშება. ავადმყოფი ნელნელა უბრუნდება სიცოცხლეს, იწყებს სუნთქვას, კვლავ ჩნდება არტერიული წნევა. ხელახლა მიცეს ნარკოტიკული ნარევი და ქირურგებმა შეძლეს დამთავრონ ოპერაცია.

სულ ორი წელია რაც მოსკოვის პიროგოვის სახელობის პირველ საქალაქო კლინიკურ საავადმყოფოში მუშაობს რეანიმაციის ცენტრი — გაცოცხლების სამსახური. ამ პერიოდში ბევრ ავადმყოფს დაუბრუნეს სიცოცხლე.

მიზეზები, რომლებიც კლინიკურ სიკვდილს იწვევს, სხვადასხვაა: მოწამვლა, პიპერტონიული ინსულტი, სისხლისდენა, ტრავმები და სხვ.

გაცოცხლების სამსახურის ცენტრი სამამულო აპარატურით არის აღჭურვილი. დიდი პოპულარობით სარგებლობს სამთო-საშველი აპარატი დპ-2. იგი სულ სამ კილოგრამს იწონის, პორტატიული და ადვილად მოსახმარია. შემზავებელთან ერთად, რომელიც ლენინგრადელმა ანესთეზიოლოგმა ი. შანინმა შექმნა, აპარატს წარმატებით იყენებენ კომბინირებული ნარკოზის მისაწოდებლად სასწრაფო შემთხვევებში. გადასატანი ელექტროენცეფალოგრაფის დახმარებით განისაზღვრება ნარკოზის სიღრმე, ეს კი ანესთეზიოლოგებს საშუალებას აძლევს შეეცალონ ნარკოტიკული ნარევის შემადგენლობა, საავადმყოფოს ექიმებმა ექსპერიმენტალურად დაადგინეს, რომ ინტენსიური თერაპიისა და ანესთეზიოლოგიის ერთობლივ ძალისხმევა ეფექტურია ადამიანის ორგანიზმის ფუნქციათა აღდგენის საქმეში.

ამ ბოლო დროს ინსულტ-ინფარქტ-ინფექციურ ავადმყოფთა ინტენსიური მკურნალობა ფართოდ ეფუძნება კომბინირებული გაყუჩების მეთოდებს.

სხვა ხელსაწყოებიდან შეიძლება დავასახელოთ კარდიოსკოპი, რომელიც საშუალებას იძლევა თვალყური ვადევნოთ გულის მოქმედებას, ვაკუუმ-ასპირატორები და სხვ.

გაცოცხლების სამსახურის ძირითადი ცენტრის გარდა, საავადმყოფოს მეტწილ განყოფილებებში შექმნილია მცირე ფილიალები სპეციალური პალატებით, რომლებიც აუცილებლად საჭირო აპარატურით არიან შეიარაღებულნი.

ა. სეროვი.

ქართველი რეჟისორის წარმატება

• **რამდენიმე** წლის წინათ მოზარდ მაყურებელთა თეატრების საკავშირო დათვალიერებაზე თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სტუდიკალმა — ვ. გოგოლაშვილის „წერილებმა“ პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო. ამ პიესის დადგმა ეკუთვნოდა თეატრის მთავარ რეჟისორს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ავქსენტი გამსახურდიას.

ქართველ რეჟისორს ამავე პიესის დადგმა შესთავაზეს ცენტრალურ საბავშვო თეატრში, რის შემდეგ იგი მიიწვიეს მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრში, სადაც ახლაც მუშაობს. თეატრში რეჟისორად მუშაობის გარდა ა. გამსახურდია ამავე თეატრის სტუდიაში მსახიობის ოსტატობას ასწავლის სტუდენტებს.

მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრში ა. გამსახურდიამ დადგა ჰარერ ლის „მგალობელი ჩიტის მოკვლა...“ და ფ. კნორეს „მამა“. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ამ უკანასკნელს. მოსკოვის თეატრალურ გაზეთებულზე, რომელიც ახლახან დამთავრდა და რომელშიც დედაქალაქის ყველა თეატრმა მიიღო მონაწილეობა, სპექტაკლმა სიგელი მიიღო და ათ საუკეთესო დადგმებს შორის მოხვდა.

გაზეთებმა „პრავდამ“, „იზვესტიამ“. აგრეთვე მოსკოვის სხვადასხვა გაზეთმა ქართველი რეჟისორის ნამუშევარს დადებითი რეცენზიები მიუძღვნეს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და ბ. გავრილენკოსი.

შემთხვევა

ზღვას აღამიანი გამოსტაცეს

ორი დღის განუწყვეტელი წვიმის შემდეგ ზღვა საკმაოდ ღელავდა. ქობულეთის დასასვენებელი სახლის — „მეშახტის“ პლაჟზე აღმართული წითელი ალმა მიუთითებდა, რომ ზღვაში სიბანაოდ ჩასვლა აკრძალული იყო.

„მერე რა, ცურვა ვიცი, თანაც დასვენების უკანასკნელი დღეა“, გაიფიქრა დამსვენებელმა ბ. თედეევმა და აქაფებულ ტალღებში შეცურა. ერთ ათ წუთს ბანაობით გული რომ იჯერა, უკან ნაპირზე გამოსვლა დაიპრა, მაგრამ ეს კი ვეღარ მოახერხა. ბევრს ეწვალა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს დაღლილ-დაქანცულმა სასოწარკვეთით შესძახა, მიშველეთო, და ტალღებმა თავზე გადაუარეს.

დასაღუპავად განწირულ კაცს შემთხვევით თვალი მოჰკრა დასასვენებელი სახლის კომენდანტმა მ. ცივაძემ. მას წამიც არ დუყოვნებია, ისე გაიძრო ტანსაცმელი და ტალღებს შეება. ეს ბრძოლა კინაღამ საბედისწერო გახდა მშველელისთვისაც, მაგრამ გამოცდილმა მცურავმა მაინც მიაღწია მიზანს — ბ. თედეევი ნაპირზე გამოიყვანა.

მ. ცივაძის თავგანწირულმა საქციელმა დამსვენებელთა ქება და გულითადი მადლობა დაიმსახურა.

ზ. მერიშვილი.

ქართველი რეჟისორის წარმატება

• **რამდენიმე** წლის წინათ მოზარდ მაყურებელთა თეატრების საკავშირო დათვალიერებაზე თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სტუდიკალმა — ვ. გოგოლაშვილის „წერილებმა“ პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო. ამ პიესის დადგმა ეკუთვნოდა თეატრის მთავარ რეჟისორს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ავქსენტი გამსახურდიას.

ქართველ რეჟისორს ამავე პიესის დადგმა შესთავაზეს ცენტრალურ საბავშვო თეატრში, რის შემდეგ იგი მიიწვიეს მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრში, სადაც ახლაც მუშაობს. თეატრში რეჟისორად მუშაობის გარდა ა. გამსახურდია ამავე თეატრის სტუდიაში მსახიობის ოსტატობას ასწავლის სტუდენტებს.

მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრში ა. გამსახურდიამ დადგა ჰარერ ლის „მგალობელი ჩიტის მოკვლა...“ და ფ. კნორეს „მამა“. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ამ უკანასკნელს. მოსკოვის თეატრალურ გაზეთებულზე, რომელიც ახლახან დამთავრდა და რომელშიც დედაქალაქის ყველა თეატრმა მიიღო მონაწილეობა, სპექტაკლმა სიგელი მიიღო და ათ საუკეთესო დადგმებს შორის მოხვდა.

გაზეთებმა „პრავდამ“, „იზვესტიამ“. აგრეთვე მოსკოვის სხვადასხვა გაზეთმა ქართველი რეჟისორის ნამუშევარს დადებითი რეცენზიები მიუძღვნეს.

ჩვენი ქვეყნის შორეულ მერიდიანებზე

რეზერ არის საქმე არქტიკაში? — ეკითხებიან ზოგჯერ ჩვენს პოლარელებს. — იგივე მარადიული მდუმარებაა? თუთრი დათვები, თოვლი და ყინულია?

მფრინავები ხუმრობით უპასუხებენ:

— რათა? არქტიკაში ახლა ისეა, როგორც მოსკოვში — ხალხიც ბევრია და ხმაურიც...

ხუმრობა, რა თქმა უნდა, ხუმრობაა. მაგრამ ზოგჯერ იგი სამართლესაც შეიცავს.

1950 წელს, როცა საფრენოსნო საქმეში ახალბედა როდიღა ვიყავი, გადავწყვიტე პოლარულ ავიაციაში გადავსულიყავი სამუშაოდ. ზუსტად არ ვიცი, რატომ გამიწია იქით გულმა. იქნებ ჩემგენაც დაჰბერა შორეული მოგზაურობის ქარმა, ადგილების ცვლის რომანტიკული მისწრაფება გადმომედო!

ჩემი უფროსი იმ პერიოდში იყო ნიკოლოზ კამანინი, რომელიც ოცდაათიან წლებში გემ „ჩელიუსკინის“ ექსპედიციის გადარჩენაში მონაწილეობდა. ამ ოპერაციის წარმატებით ჩატარებისათვის შიდ მფრინავს, და მათ შორის ნ. პ. კამანინს ჩვენს ქვეყანაში პირველი მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

და აი პ. კამანინმა ჩემი განწყობილება გამოიცნო და ფრთები აო შემიკრა.

— თუ პოლარულ ავიაციაში გინდათ, არ შეგაფერხებთ, — მითხრა მან. — მაღალ ცას გისურვებ, საბა.

ნიკოლოზ პეტრეაძე კარგი ხელისა გამოდგა. ტყუილად კი არ არის, რომ იგი საბელგანთქმული საბჭოთა კომმონავტების უახლოესი მეგობარი და უნარიანი დამრიგებელია. ჩემი გზა პოლარულ ავიაციაში მართლაც კეთილი აღმოჩნდა. თუმცა ამ გზაზე სიარული მაინც ოფლი როდი იყო.

მე რომ პოლარულ ავიაციაში მივედი, არქტიკა ისე აღარ გამოიყურებოდა. როგორც მას უფროსი თაობის მფრინავები იცნობდნენ. ყინულნრგანი ოკეანის სანაპიროს რომ ადგებოდნენ, დაბებისა და ქალაქების შუქი ვხედავდი. არქტიკული აუზის სიღრმეში, კუნძულებზე და ყინულებში. მეტეოროლოგიური და სამეცნიერო სადგურები მუშაობდნენ. ჩვენს განკარგულებაში იყო სამამულო წარმოების, სხვადასხვა სანავიგაციო მოწყობილობით აღჭურვილი საიმედო თვითმფრინავები.

მაგრამ არქტიკა არქტიკაა. იგივე დაუსრულებელი თოვლიანი სივრცე, როგორც ათასობით, შესაძლოა ათიეულ ათასობით წლის წინათ. ფოლადივით მაგარი ყინულის იგივე საშიფო და ხორგების ქაოსური გროვა. იგივე ლამეები, ნახევარ წელიწადს რომ გრძელდება, ვარსკვლავებით მოჭედილი ცივი ცა, კოსმოსს რომ ჰგავს. და იგივე ჭახჭახა ორმოცდაათ და სამოცგრადუსიანი, ცივცხლივით მწველი ყინვები.

არქტიკაში ცხოვრება და მუშაობა ადამიანისაგან სიმტკიცეს, სიდინჯეს, ამტანობას მოითხოვს. ექსპედიციების დროს საფრენოსნო ეკიპაჟები მთელი კვირეების განმავლობაში მატერიკიდან შორს მუშაობენ. ბინას იდებენ პირდაპირ ყინულზე, კარვებში, რომლებსაც გაზის ქურა ათბობს. იატაკზე ირმის ტყავებს ფენენ. მაგრამ მაინც ცივა, და ძილი სპეციალურ თბილ ტომრებში უხდებათ.

ექსპედიციებში რომ მონაწილეობენ, ავიაციის მუშაკები ყოველ წელიწადს 50-60 დღეს ატარებენ დროებითს ყინულოვან ბაზებში. ამ პერიოდში მზე მთელ დღეღამეს ანათებს, თუ, რა თქმა უნდა, მოღრუბლულობამ არ შეუშალა ხელი. კარავიდან როცა უნდა გამოხვიდე, ყოველთვის დღეა. ამიტომ ფრენა განუწყვეტლივ წარმოებს, „დამის“ გაუთვალისწინებლად. სანაპიროდან მოსული თვითმფრინავების განტვირთვაზე, ყინულოვანი ასაფრენ-დასაფრენი ზოლების მომზადებაზე, სამეცნიერო მოწყობილობის დადგმაზე ყველა მუშაობს, მიუხედავად სპეციალობისა და რანგისა. აქ შემბარკბილებულად ცხოვრობენ ამ პრინციპის მიხედვით: ერთი — ყველასათვის, ყველა — ერთისათვის.

ყინულის ბაზებზე კედლის გაზეთებს უშვებენ. პარტიულ და კომკავშირულ კრებებს მართავენ, ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს ერთად წყვეტენ. მოწყობილია საზოგადოებრივი კვება. პოლარელებს დედაქალაქის პირველხარისხოვანი მზარეულები ემსახურებიან.

საკმაოდ ხშირად გვეტყვერებიან ხოლმე აქაური ადგილების აბორიგენები — თეთრი დათვები. მათთან ახლოს გაცნობა დიდ სიამოვნებას როდი გიჭადის. მაგონდები, მაგალითად, ასეთი ნახევრადნეგდოტური შემთხვევა.

„ჩრდილოეთ პოლუს-10“-ის ახლოს ასაფრენ-დასაფრენი ზოლი მოვაწყეთ და ჩვენი კარვები დავდგით. იქ ფრენას ალექსანდრე გორბაჩოვი ხელმძღვანელობდა, და ამიტომ ამ სახელდახელოდ მოწყობილ დაბას „გორბაჩოვკა“ დაერქვა. ერთხელ ჩვენი ერთი ამხანაგი სასადილოში წავიდა. ჩაფიქრებული იყო. უცაბედად გზა გადაუჭრა დათვმა. ძველი, ნაცადი პოლარელების ნაამბობის მიხედვით ამ ამხანაგმა იცოდა — დათვს რომ გაექცე, უსარგებლოა — სულ ერთია დაგეწევა. და ეცით რა ქნა ჩვენმა ამხანაგმა? დაიწყო... ტანისამოსის გახდა.

დათვი ღონიერი და მოხერხებული მხეცია. მაგრამ მასაც აქვს სუსტი ადგილი, თავისებური აქილევსის ქუსლი: ბავშვივით ცხობისმოყვარეა. ამხანაგმა, რომელზეც გიამბობთ, დათვს ქუდი გადაუგდო. და სანამ ის ქუდს სინჯავდა და ყნოსავდა, მან უკან-უკან სვლა იწყო. ქუდს მიაყვა ქურქი, ჯურტკი, შუდა პერანგი... მოკლედ რომ ვთქვათ, მფრინავი ჩვენს კომპანიაში საცვლების ამარა დაბრუნდა. დათვი კი ამასობაში თავის ნადავლს სინჯავდა... დღემდე ისე ვერ გაგვიხსენებია ეს ამბავი, რომ სიცილი არ აგვიტყდეს.

ზოგჯერ დათვები გასაჭირში გვაგდებენ. მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი „ჩპ-10“-ის რაიონში ყინულის დეფორმაციას იკვლევდა. როცა ისვეხებდნენ, მათს კარავში შეღვრომა დაიპირა ძუ დათვმა, რომელსაც თან ჰყავდა ორი კარგა მოზრდილი „ბალღი“. კარაბინების სროლამ დათვები ვერ დაიფრთხო. კარავს გარს შემოერტყნენ და ადამიანებს გარეთ არ უშვებდნენ. საჭირო გახდა თვითმფრინავის გაგზავნა, რომ მეცნიერები საალყო მდგომარეობიდან გამოეგვიყვანა. ასეთია არქტიკის კანონი — გაჭირვების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მიეშველო ამხანაგს.

აი კიდევ ერთი ცხოვრებისეული ეპიზოდი, თუმცაღა რამდენადმე სხვა ხასიათისა. ი. ჩერვეიჩნის ეკიპაჟთან, რომელიც მორიგ დავალებას ასრულებდა, უეცრად რადიოკავშირი გაწყდა. მაშასადამე, რაღაც მოხდა. საძებნელად გაფრინდა ბ. ოსიპოვის საპაერო ხომალდი. უკვალოდ დაკარგულთა ადგილსამყოფელი ზუსტად არ იყო ცნობილი.

დრო ნელა მიდის. ნელა — ოსიპოვისათვის. ხოლო ჩერვეიჩნისათვის, თუ ავარიაა მომხდარი, დრო ალბათ საშინელი სისწრაფით მიჰქრის. გრძელ, ასკილომეტრიან ჰაერსებად ატარებენ თავიანთ ხომალდს მაშველი მფრინავები. ფრთის ქვეშ განუწყვეტლივ მიეკრავს ყინულის ხორგები, ზემოდან ჯაგარს რომ ჰგავს. ძრავები თანაბრად და მშვიდად მუშაობენ. ოსიპოვს კი გული არ უსვენებს. „როგორ არიან მიეკები? რა დავმართათ?“.

უკვე მეშვიდე საათია გრძელდება ფრენა. მეშვიდე საათი! საფიქრებში სისხლი აჩქარებულად სცემს, თითქოს თავზე რკინის რკალი მოუჭირესო. ზურგი სტეხს, ხაოიან ხელებში თითქოს ტყვიი ჩასდგომია. რად ღირს ახლა დაისვენო, თუნდაც ერთ წუთს წამოწვე, თვალი მოხუჭო... მერე ამხანაგები? იქნებ მათთვის ყოველი წამი ძვირფასია. და ოსიპოვი უფრო მაგრად ჩასჭიდებია შტურვალს. ეფრენ, მხოლოდ ეფრენ!

და უეცრად!... აი იმათი დასსაურებული ჯილდო, ვინც არავითარ გარემოებაში, უიმედო ვითარებაშიც კი, იმედს არ კარგავს. დაბლა, კურსის მარცხნივ, რადაც მუქი საგანი მოჩანს. ოსიპოვს მანქანა სპირალში გადაკაყავს. დიახ, ის არის — ჩერვეიჩნის თვითმფრინავი. ყინული კარგი ვერ არის, დაჯდომა სარისკოა. მაგრამ ეს უკვე მორალურად გამართლებული რისკია, — რისკი სხვათა სიცოცხლისათვის. ეკიპაჟი? ყველა ეთანხმება ხომალდის მეთაურს. რომელი საბჭოთა მფრინავი, მით უმეტეს პოლარელი, მოიქცევა სხვანაირად. უნდა დაეშვან...

რა მოხდა შემდეგ? ისედაც ცხადია. შემდეგ, როცა ერთად დაბრუნდა ეს ორი ძმად შეფიცული ეკიპაჟი, ჩვენი ბაზის ყველაზე დიდ კარავში შევიკრიბეთ. ჩვენთვის, თბილად რომ გვეცვა და ამიტომ რამდენადმე მოუხეშავი ვიჩანდით, კარავი ვიწრო იყო. მაგრამ, როგორც იტყვიან, ხეობს ვიწროდ ვიყოთ და შეხვაჭტბილებულად ვიცხოვრობდეთ. ერთმანეთს არ ვაწყენინებდეთ. ჩვენ კი ერთმანეთს როგორ ვაწყენინებდეთ! ჩვენ ყველანი, პოლარელი მფრინავები, ხომ ერთი ოჯახისვით ვართ.

შეიძლებოდა კიდევ ბევრი ასეთი ეპიზოდი მოგვეყვანა პოლარული ავიაციის მფრინავთა ცხოვრებიდან. შეიძლებოდა უფრო დაწვრილებით, პროფესიული დეტალებით, მოგვეთხრო მათს საფრენოსნო ოსტატობაზე, რაც ჩემთვისაც აღარ წარმოადგენს ცხრაკლიტულში ჩაკეტილ საიდუმლოებას. მათს წრეში ბევრი რამ გადავიფასე ჩემს თავში, ბევრი რამ ვისწავლე. გავხდი ნაკადი. პირველი კლასის პილოტი. მაგრამ, შეიძლება ითქვას, ჩემი მთავარი კაპიტალი ის არის, რომ პოლარული ავიაციაში კიდევ უფრო განმიმტკიცდა ამხანაგობის გრძნობა. და ეს ყოველთვის სასიამოვნოა გუთხრა მეგობრებს.



არქტიკის დღეები

ადამიანს გონებისა და ტექნიკური აზროვნების გარდა, სხვა თვისებებიც აქვს. ი, მაგალითად, ადამიანი ეგოისტიც არის. მშრალი სიტყვა რომ არ გამომეიღეს, მინდა აღვნიშნო ერთი სამწუხარო ამბავი, რომლის მოწმეც თვითონ გახლდით.

ტრიუკარზე მოხუცი ქალი იდგა. ტყობოდა ქუჩაზე გადასვლა უნდოდა რამდენჯერმე დაიძრა კიდეც ადგილიდან, მაგრამ იმ წამსვე უკან დაბრუნდა. ქუჩაში დიდი მოძრაობა იყო.

— ვინმე მაინც მოიფიქრებდეს მის გადაყვანას ქუჩის მეორე მხარეზე, — თქვა ხიზიამ, ვისთან ერთადაც მივსეირნობდი.

— ცხადია, — მივუგე მე, — აბა ერთი ვნახოთ, თუ გამოჩნდება ღვთისნიერი ადამიანი, რომ მოხუცს მიეხმაროს.

ორივენი უმწეო ქალს თვალს არ ვაშორებდით. იგი დიდ ქალაქში გზადაბნეულ ბავშვს ჰგავდა. სბრალო მოხუცი მუდმივად შეჰყურებდა გამვლელებს, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა, ვერცხლ ულალიდნენ. მართალია, ადრიანი დილა იყო და ხალხი სამსახურში მიეჩქაროდა. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, ეს რა მიზეზია!

მე და ჩიზია დიდხანს ვიმედოვნებდით, რომ ვინმე, მაღლიანი კაცი გამოჩნდებოდა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ადამიანებისადმი რწმენადაკარგულებმა პარკისკენ ავაწიეთ.

რაც შეეხება მოხუც ქალს, ის ალბათ ახლაც ია დგას.

ა. პოტემკოვსკი,
პოლონელი მწერალი.

ჩვენი მეგობრების იუმორი

სამწუხარო ამბავი

ადამიანს გონებისა და ტექნიკური აზროვნების გარდა, სხვა თვისებებიც აქვს. ი, მაგალითად, ადამიანი ეგოისტიც არის. მშრალი სიტყვა რომ არ გამომეიღეს, მინდა აღვნიშნო ერთი სამწუხარო ამბავი, რომლის მოწმეც თვითონ გახლდით.

ტრიუკარზე მოხუცი ქალი იდგა. ტყობოდა ქუჩაზე გადასვლა უნდოდა რამდენჯერმე დაიძრა კიდეც ადგილიდან, მაგრამ იმ წამსვე უკან დაბრუნდა. ქუჩაში დიდი მოძრაობა იყო.

— ვინმე მაინც მოიფიქრებდეს მის გადაყვანას ქუჩის მეორე მხარეზე, — თქვა ხიზიამ, ვისთან ერთადაც მივსეირნობდი.

— ცხადია, — მივუგე მე, — აბა ერთი ვნახოთ, თუ გამოჩნდება ღვთისნიერი ადამიანი, რომ მოხუცს მიეხმაროს.

ორივენი უმწეო ქალს თვალს არ ვაშორებდით. იგი დიდ ქალაქში გზადაბნეულ ბავშვს ჰგავდა. სბრალო მოხუცი მუდმივად შეჰყურებდა გამვლელებს, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა, ვერცხლ ულალიდნენ. მართალია, ადრიანი დილა იყო და ხალხი სამსახურში მიეჩქაროდა. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, ეს რა მიზეზია!

მე და ჩიზია დიდხანს ვიმედოვნებდით, რომ ვინმე, მაღლიანი კაცი გამოჩნდებოდა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ადამიანებისადმი რწმენადაკარგულებმა პარკისკენ ავაწიეთ.

რაც შეეხება მოხუც ქალს, ის ალბათ ახლაც ია დგას.

ა. პოტემკოვსკი,
პოლონელი მწერალი.

სპარტაკიადის ფინიში

მიმდინარე სპორტული სეზონის უდიდეს ასპარეზობას — პროფკავშირულ მარეგ სპარტაკიადას ფინიში ჰქონდა. ეს ძასობრივი შეჯიბრება აღინიშნა ახალი წარმატებით, დამყარებული რეკორდები.

სპარტაკიადის საზეიმო დახურვა დაემთხვა ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. დედაქალაქის „კრილია სოვეტოვის“ სპორტის სასახლეში თავი მოიყარეს მოსკოველებმა, სპარტაკიადის მონაწილეებმა. გამარჯვებულებს გადასცეს პრიზები — თასები.

სპარტაკიადაზე საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა **მოსკოვის** ძლიერმა კოლექტივმა, რომელმაც 320 ქულა შეაგროვა. გამარჯვებულს მხოლოდ 4,5 ქულით ჩამორჩა **რსფსრ** სპორტსმენთა კოლექტივი და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. მესამე ადგილზე გამოვიდა **უკრაინის** ძლიერი კოლექტივი, რომელმაც 301 ქულა მეგროვა. მეოთხე ადგილი დაიკავეს ლენინგრადელებმა — 286,5 ქულა, მეხუთე **ბელორუსიის** სპორტსმენებმა — 249,5 ქულა. **საქართველოს** გუნდი 245,5 ქულით მეექვსე ადგილზე გამოვიდა.

ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის თავი ისახელეს **ხარკოვის** ელექტრონის სპორტული „ლუბის, „ალმაბის“ (**რსფსრ**), „კოსნი ოქტიაბრის“ (**მოსკოვი**), „ზენიტის“ (**ლენინგრადი**), **ლუგანსკის** „ზარიას“ და სხვა კოლექტივებმა.

ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა შორის უძლიერესები იყვნენ **„ბურევესტნიკის“**, ლიტვის **„უალგორისის“**, უკრაინის **„ავანგარდის“** და ყაზახეთის **„კაირატის“** გუნდები.

ა მეტრეველი — ფინალში

მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში დასასრულს უახლოვდება. დღეს კეთმართება უკანასკნელი შეხვედრები.

დიდი ინტერესი გამოიწვია **მეტრეველისა** და **ფოკსის** (ამერიკის შეერთებული შტატები) ნახევარფინალურმა შეჯიბრებამ. პირველი პარტია მოიგო **ფოკსმა**, მეორე პარტია, როდესაც ანგარიში იყო 3:2 მეტრეველის სასარგებლოდ წვიმის გამო შეწყდა და, გადატანილ იქნა „შახტიორის“ დახურულ კორტზე. **მეტრეველმა** ჩინებულად ჩაატარა ბრძოლა, გიმარჯვა 4:6, 6:3, 7:5, 6:4 და ფინალში გავიდა, სადაც შეხვდება **ლეიუსს.**

სმიტმა (ავსტრალია) დამარცხა **კოვი, ბაქშეევამ — ტეგერი** (ავსტრალია).

გუშინ გამოვლინდა გამარჯვებულები წყვილებში. ვაკთა შორის გაიმარჯვა **ლიიუს-ლიხაჩოვის** წყვილმა, ქალთა შორის — **სმიტ-ტეგერის** წყვილმა.

სსრ კავშირის თასზე

ტაიმი ოთხი, გოლი არც ერთი

ოთხმა თვემ შეუმჩნეველად განვლო. სიურპრიზები ცოტა როდი იყო, მაგრამ უამისოდაც ხომ წარმოუდგენელია თამასიათვის პაექრობა.

ღლეები გადიოდა, სულ უფრო მცირდებოდა პრიზიორათვის მებრძოლთა რიგები და აი ფინალს ორი კოლექტივი — მოსკოვის „სპარტაკი“ და მინსკის „დინამო“ შემორჩა.

სხვადასხვა გზა განვლეს ფინიშამდე მეტოქეებმა, სულ სხვადასხვა მათი სპორტული ბიოგრაფია. თუ წარსულზე ვილაპარაკებთ, „სპარტაკს“ მეტად მდიდარი ისტორია აქვს. ამა წარმოიდგინეთ თერთმეტჯერ ფინალში გასვლა და შვიდი გამარჯვება. სწორედ ამიტომ უწოდებენ მას თასის გუნდს.

მინსკის დინამოელები თასისათვის ბრძოლაში შედარებთ მოკრძალებულნი არიან. მათ მხოლოდ წელს გაიკაფეს გზა ფინალისაკენ და პირისპირ აღმოჩნდნენ სახელოვან კოლექტივთან.

„სპარტაკი“ თუ „დინამო“?

აი ლუჟნიკის გუშინდელ სტუმართა ამოუხსნელი ამოცანა და გაა მარტო მათი? ამ მატჩს, ხომ მილიონობით ტელემაყურებელი და რადიომსმენელი ჰყავდა.

გავეცნოთ გუნდების შემადგენლობას: „სპარტაკი“ — მასლაჩენკო, დიკარევი, ვარლამოვი, კორნეევი, კრუტიკოვი (როტკოვი), ლოგოფეტი, ფალინი, იანიშევსკი, რეინგოლდი, სევიდოვი, ჰუსაინოვი; „დინამო“ — დენისენკო, რიომინი, ზარემბო, უსატორე, სავოსტიკოვი, არზამასცევი, მოზერი, ადამოვი, მუსტიგინი, მილაფეევი, პოგალანკოვი.

ამ პასუხსაგები მატჩის არბიტრობა მინდობილი ჰქონდა ა. **ანძიულისს** (ლენინგრადი).

ამინდი მატჩის შესაფერისი როდი აღმოჩნდა, სცრიდა, მოედანი დასველდა, ბურთი დამძიმდა. პირველი წუთებიდანვე ცხადი გახდა, რომ ბრძოლა ფინალის შესაფერისი, მძაფრი და მრავალმხრივი იქნებოდა. ცხადია, მეტოქეები ნერვიულობდნენ. პირველ წუთებში ეს განსაკუთრებით მინსკელებს ეტყობოდათ. სპარტაკელებს დასაწყისშივე ჰქონდათ განზრახული წარმატების მიღწევა, მაგრამ მათ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. არაერთი ირიბი ჩინებულად მოიგერიეს დინამოელთა მცველებმა და მეკარე დენისენკომ.

თანდათან წონასწორობა აღსდგა, ბრძოლა ფართო მასშტაბით გაიშალა, მინსკელთა კონტრთამაში მეტი ეფექტური, ამასთანავე სახიფათო გამოდგა. სპარტაკელთა კარის მისადგომებზე გრძელდებოდა განუწყვეტელი იერიშები, ხშირი იყო კუთხურები, საჯარიმოები და მაინც ბურთი არ გაუტანიათ.

მეორე ტაიმს გაცილებით მეტი საინახობითი მხარე ჰქონდა. 70-ე წუთზე მასლაჩენკო მოტეუვდა, კარი ღიად დარჩა და გოლიც თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ მცველებმა იხსნეს კარი. ერთი წუთის შემდეგ სპარტაკელთა ფორვარდმა იანიშევსკიმ